ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 10 აგვისტო, 2011 №188 (5569 ) ფასი: 30 თეთრი

## რატომ გაიქცა საქართველოდან ზინაიდა ბესტაევა

გვ.2



# დავით ბაქრაძემ წელიწადში 91.832 ლარი ხელფასი მიიღო, ლევან ვეფხვაძემ — 69.732 ლარი

გვ.2



გია თორთლაძემ 59.572 ლარი მიიღო



გიორგი თარგამაძემ 60.192 ლარი მიიღო



პაატა დავითაიამ 69.732 ლარი მიიღო

## ბოკერია და უგულავა ერთ მხარეს არიან, მერაბიშვილი და ადეიშვილი — მეორე მხარეს

გვ.6



## პაატა ჯიბლაძე: „ბაგა-ბაღებში გადასახადის დაწესება ერის გენოციდს ემსახურება“

გვ.5



## ნინო ბურჯანაძეს 2 საათის განმავლობაში კითხავდნენ

გვ.3



## აკაკი მინაშვილი: „რუსეთთან ომის საფრთხე, პრაქტიკულად, არ არსებობს“

„ადრე თუ გვიან რუსეთს საქართველოს დეოკუპაცია მოუწევს“

გვ.3

## საქართველოს რკინიგზაზე ავარიები ისევ მოსალოდნელია

გვ.4

გია ყრუაშვილი ირაკლი ეზუგბაიას მოხსნას ითხოვს

**3090**

**sms განცხადებები „ახალ თაობაში“**

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

## საქართველოში მეცნიერებას კლავენ

გვ.5

ქართველები მალე მომსახურე ერად ვიქცევით





## „აგვისტოში ვერც ჩვენ მოვიგეთ და ვერც — რუსეთმა“

გვ.6

ISSN 1987-9385

4 თურქეთში საქართველოს სამი მოქალაქე დააკავეს

7 დავით ბაქრაძე ქალებს უფრო მოსწონთ

4 ელგუჯა ჯინჭარაძის მკვლელობისთვის ედიშერ ქასოხოვი დააკავეს

7 შეიძლება, მერსედესის ნაწილი 5 ლარი ღირდეს?!

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# დავით ბაქრაძემ წელიწადში 91.832 ლარი ხელფასი მიიღო, ლევან ვეფხვაძემ — 69.732 ლარი

## ვინ იღებს ნაციონალებში ყველაზე ნაკლებს

თეა მარხვაი ე

შევარდნაძის პერიოდში დეპუტატებს დიდი ანაზღაურება ნამდვილად არ ჰქონდათ. ვარდების რევოლუციის შემდეგ კი კანონმდებელთა ხელფასები და სამუშაო პირობები მკვეთრად გაუმჯობესდა.

ვისაც პარლამენტთან რაიმე შეხება ჰქონია, ახსოვს, რომ პარლამენტი ზამთარში არ თბებოდა. და დეპუტატებიც ისე იტანჯებოდნენ, როგორც ერი. ახლა ამ მხრივ ყველაფერი კარგად არის. გათბობა ისეთი აქვთ, რომ ზამთარში კონდინციონერებს რთავენ გასაგრილებლად.

მთავარი მაინც მათი ანაზღაურებაა. დეპუტატები და მთავრობის წევრები დღედაღამ იმას ჩაგვძახიან, რომ პენსიას 5 ლარი მოუმატეს. ამ დროს კი ხმას არ იღებენ თავიანთ ხელფასებზე, პრემიებზე და სხვა დამატებით პრივილეგიებზე.

მათ შემოსავლებთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაციებს აქვეყნებს საჯარო ინფორმაციების მონაცემთა ბაზა. მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, თუ რამდენს იღებენ თვეში მათი რჩეულები.

საქართველოს პარლამენტის წევრის შრომის ანაზღაურების შესახებ კანონის შესაბამისად, დეპუტატის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი განსაზღვრულია 2.000 ლარის ოდენობით. წელიწადში თითო კანონმდებელმა 24 ათასი ლარი უნდა აიღოს.

ეს წესით, თორემ რეალურად ჩვენი კანონმდებლები წელიწადში გაცილებით მეტ თანხას იღებენ ბიუჯეტიდან. როგორც საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა გვატყობინებს, ერთი დეპუტატის შენახვა ბიუჯეტს წელიწადში დაახლოებით 50 ათასი ლარი უჯდება. დეპუტატები თვეში სულ ცოტა 4 ათას ლარს მაინც იღებენ. ეს იმ დროს, როცა პენსიონერებისთვის დაპირებული 100 დოლარიანმა პენსიამ შორეულ მომავალში გადაიწია.

მოსახლეობა მაღალი ხელფასების გამო წყევლაკრულვას ძირითადად ნაციონალებს უთვლის. არადა საპარლამენტო ოპოზიციის ანაზღაურება მათსას დიდად არ ჩამოუვარდება. ზოგიერთ ოპოზიციონერს ნაციონალებზე მეტი ხელფასები აქვთ.

ოპოზიციონერებიდან ყველაზე მაღალი ანაზღაურება გასულ წელს ლევან ვეფხვაძეს და პაატა დავითიას ჰქონდათ. დეკლარაციებიდან ირკვევა, რომ შარშან სამუშაოს შესრულების შედეგად ვეფხვაძემაც და დავითაიამაც 69.732 ლარი მიიღეს. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ისინი რიგითი დეპუტატები არ არიან. ერთიც და მეორეც პარლამენტის ვიცესპიკერები არიან.

საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა გიორგი თარგამაძემ გასულ წელს მხოლოდ 60.192 ლარი აიღო.

კიდევ უფრო ნაკლები ჰქონდა ანაზღაურება ნიკა ლალიაშვილს. მან სულ რაღაც 50.692 ლარი და 49 თეთრი აიღო.

გაცილებით უხვშემოსავლიანი იყო გიორგი ახვლედიანი. მისი შენახვა ბიუჯეტს გასულ წელს 59.572 ლარი დაუჯდა. მათივე თანაფრაქციელმა მაგდა ანიკაშვილმა შარშან 55.831 ლარი მიიღო.



უფულობას და ინფლაციას, წესით, არც გია თორთლაძე უნდა უჩიოდეს. მან ხელფასის სახით გასულ წელს 59.572 ლარი მიიღო.

ყველაზე მაღალი ანაზღაურება პარლამენტში დავით ბაქრაძეს ჰქონდა. ის პარლამენტის თავმჯდომარეა და ყველაზე მეტი თანხა მას ეკუთვნის.

როგორც ქონებრივი დეკლარციიდან ირკვევა, ბაქრაძემ შარშან 91.832 ლარი გამოიმუშავა.

ბედს და ბიუჯეტს არც მისი მოადგილეები გიორგი (გიგი) წერეთელი და მიშა (მიხეილ) მაჭავარიანი უნდა უჩიოდნენ.

გიგი წერეთელმა შარშან თავდაუზოგავი შრომით 86.619 ლარი გამოიმუშავა. შრომით მაჭავარიანი მასზე მეტს შრომობდა, მაგრამ ბიუჯეტმა ჯამაგირის სახით მისთვის 79.172 ლარი გაიმეტა.

72.082 ლარი მიიღო ჯამაგირის სახით პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილმა.

ამათ ფონზე ნამდვილად მოკრძალებული შემოსავალი ჰქონდათ რამიზ ბაირამოვს და გოჩა თევდორაძეს. ქონებრივ დეკლარაციაში ბაირამოვს უწერია, რომ მან შარშან გაწეული სამუშაოსთვის სულ რალაც 35 ათასი ლარი აიღო.

ამ მხრივ ოდნავ უკეთესად აქვს საქმე გოჩა თევდორაძე. მან შარშან 37.560 ლარი გამოიმუშავა. ცნობისთვის, ერთიცა და მეორეც ნაციონალურ მოძრაობას წარმოადგენენ.

მართალია, პარლამენტში არ დადიან, მაგრამ ხელფასს იღებენ ლეიბორისტებიც. ეს ხელფასები ლეიბორისტებს ნაციონალებმა და ოპოზიციონერებმა არაერთხელ აყვედრეს. თუმცა, მშრომელებს არც ხელფასებზე და არც დეპუტატის მანდატებზე უთქვამთ უარი.პარლამენტში უშრომელ შემოსავალს შალვა ნათელაშვილი, გიორგი გუგავა, იოსებ შატბერაშვილი და კახაბერ ძაგანია იღებენ.

ამ პარლამენტში სხვებივით ისინიც 2008 წლის მაისის არჩევნების შემდეგ მოხვდნენ. ისინი ამ პარლამენტს უკანონოდ მიიჩნევენ და მის მუშაობაში არ მონაწილეობენ. ლეიბორისტმა დეპუტატებმა გასულ წელს 40-40 ათასი ლარი მიიღეს ხელფასის სახით.

ლეიბორისტების მსგავსად, პარლამენტში კიდევ 11 ოპოზიციონერი მოხვდა, თუმცა მათ მანდატებზე უარი თქვეს. თანაც მარტო სიტყვიერად არა. ეს მანდატები 2008 წლის ივნისში პარლამენტის შენობის წინ მაკრატლით დაჭრეს. შესაბამისად, სახელმწიფო მათ კეთილდღეობაზე აღარ ზრუნავს. მათი წყალობით, ბიუჯეტს მხოლოდ 139 დეპუტატის შენახვა უწევს.

კანონის შესაბამისად, დეპუტატის ხელფასი, მათ შორის კომიტეტებისა და ფრაქციების თავმჯდომარეებისაც 2000 ლარით განისაზღვრება. არადა, დეპუტატები თვეში გაცილებით მეტ შემოსავალს იღებენ.

წელიწადში ქვეყანას მათი შენახვა 7 მილიონი უჯდება. საუბარია მარტო ხელფასებზე. არაფერს ვამბობთ იმ თანხებზე, რომლებიც მათი კომფორტისთვის იხარჯება.

მომავალი წლიდან ჩვენი კანონმდებლები კიდევ უფრო ძვირი შესანახი გახდებიან. და არა მარტო იმიტომ, რომ მათი რაოდენობა გაიზრდება. ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ დეპუტატების რაოდენობა 40 კაცით გაიზარდოს. მომავალ წელს ისინი უკვე 190-ნი იქნებიან.

ამის გარდა, ისინი ახალ პარლამენტში გადავლენ. რომელიც ქუთაისში შენდება და ჩვენს გალატაკებულ ბიუჯეტს მისი აშენება ძვირი უჯდება. დღემდე ვერავინ თქვა, თუ რამდენი ჯდება ახალი პარლამენტის შენობის აშენება.

ხელისუფლება მხოლოდ იმას ამბობს, რომ ამით ქუთაისელები იხეირებენ, თუმცა არ აკონკრეტებენ, როგორ. უკვე ცნობილია, რომ პარლამენტში ის ადამიანები იმუშავებენ, რომლებიც დღეს მუშაობენ. აქ დასაქმების შანსი მხოლოდ რამდენიმე ქუთაისელს ექნება.

ამის ნათელი დადასტურება სემეკია. ისიც ქუთაისში გადაიტანეს რამდენიმე წლის წინ. ამბობდნენ, ადგილობრივ მოსახლეობას დავასაქმებთო. რეალურად კი სულ თბილისიდან წაყვანილი ხალხი დაასაქმეს.

პარლამენტშიც ასე იქნება. ქუთაისში პარლამენტის გადატანით მხოლოდ დეპუტატები იხეირებენ. მათი ანაზღაურება ხომ ყოველ წელს იზრდება.

# რატომ გაიქცა საქართველოდან ზინაიდა ბესტაევა

თეა მარხვაი ე



**ალბათ, ყველა თქვენგანს კარგად ახსოვს, როგორი ზარზეიმით მოიყვანეს სახელმწიფო მინისტრად ზინაიდა ბესტაევა. როგორც ამბობენ, ის გივი თარგამაძის კადრი იყო. წლების განმავლობაში ის მთავრობაში მშვიდად იყო და კარგ ხელფასსაც იღებდა, ახლა კი პოლიტიკურ თავშესაფარს ეძებს.**

მის გარდა, პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვა სანაკოევის მთავრობის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ჩიგოევა-ცაბოშვილმა. თავშესაფარს ითხოვს ვაჟა ქარქუსაშვილიც, რომელსაც სანაკოევის ავადსახსენებელ მთავრობაში შს მინისტრის მოადგილის პოსტი ეკავა.

ამ სამიდან საქართველო ყველაზე ადრე მაია ჩიგოევაცაბოშვილმა დატოვა. საქართველოდან წასვლამდე მან საკმაოდ სკანდალური განცხადებები გააკეთა. სანაკოევის დროებითი ადმინისტრაციიდან წამოსვლის შემდეგ ის სალომე ზურაბიშვილის პარტიაში გაწევრიანდა.

გაოპოზიციონერებულმა ჩიგოევმა-ცაბოშვილმა სანაკოვთან დაკავშირებით სკანდალური განცხადებები გააკეთა. მისი თქმით, დიმიტრი სანაკოევს დროებით ადმინისტრაციაში მინი-კაზინო ჰქონდა მოწყობილი, სადაც მწვანე მაუდგადაფარებულ მაგიდაზე კარტს თამაშობდა.

ეს მაშინ არავის გაჰკვირვებია, რადგან ყველამ კარგად იცის მისი გატაცების შესახებ. აზარტული თამაშების სიყვარულის გამო მან სერიოზული ქონება დაკარგა. როგორც ამბობენ, დროებითი ადმინისტრაციის პრეზიდენტი რომ გამხდარიყო, ამის სანაცვლოდ ჩვენმა ხელისუფლებამ ვალები გადაუხადა.

თუმცა, ახლა ეს არ არის მთავარი. მთავარი ისაა, რატომ გარბიან საქართველოდან მისი მთავრობის წევრები.

მათი დიდი ნაწილი რუსეთში გაიქცა და, როგორც ამბობენ, ისინი რუსეთის აგენტები იყვნენ, არაგენტებმა კი ევროპასა და ამერიკას მიაშურეს. მაია ჩიგოევა-ცაბოშვილი დღეს კანადაში ცხოვრობს, თუმცა, პოლიტიკური თავშესაფარი დიდ ბრიტანეთს სთხოვა.

სავარაუდოდ, ის ამ თავშესაფარს მიიღებს, ისევე, როგორც ზინაიდა ბესტაევა და ვაჟა ქარქუსაშვილი.

როგორც მაია ჩიგოევაცაბოშვილი ამბობს, სააკაშვილს დროებითი ადმინისტრაცია აღარაფერში სჭირდება და ამიტომაც დაიწყო მათი შევიწროება. იმასაც ამბობს, რომ ხელისუფლებამ ის ირაკლი ოქრუაშვილთან დაპირისპირებისთვის გამოიყენა. ვისაც არ გახსოვთ, შეგახსენებთ, რომ სანაკოევის მთავრობა თავდაცვის ექს-მინისტრის ლანძღვით იყო დაკავებული.

ზინაიდა ბესტაევა ამ მთავრობაში არ ყოფილა. ის საქართველოს სახელმწიფო მინისტრი იყო. სკანდალებში ისიც ბევრჯერ გაეხვია. ბევრი ილაპარაკეს მის სასტუმროზე, რომელიც ბაკურიანში ჰქონდა, უფრო ზუსტად, მისი სახლი გადააკეთეს სასტუმროდ, სადაც ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები უკრაინელ ნაშებს აბინავებდნენ თურმე.

ეს ის პერიოდია, როცა ბესტაევა ახალდანიშნული იყო მინისტრად. იმ დროს ძველით ახალ წელს ბაკურიანში რაღაც ფესტივალს აწყობდნენ, სადაც რატომღაც უკრაინელი ლამაზმანები ჩამოჰყავდათ.

რაც შეეხება ვაჟა ქარქუსაშვილს, ის შს მინისტრის მოადგილე გახლდათ. მისი გაქცევა გასაკვირი არ არის, რადგანაც ცოტა ხნით ადრე საქართველოდან მისი შეფი, შს მინისტრი ჯემალ ქარქუსოვი გაიქცა. ეს აგვისტოს ომიდან ცოტა ხანში მოხდა. ის თავის ძმა ენიკთან ერთად რუსებს ჩაბარდა და საქართველოსთან დაკავშირებით ბევრი სკანდალური ცნობა გაავრცელა.

ჩვენმა ხელისუფლებამ მაშინ ვერ ახსნა, როგორ გაეპარნენ საქართველოდან ქარქუსოვები, რომლებიც თავის დროზე ჩვენებურებმა ცხინვალის ციხიდან გამოაქციეს. მათი ერთი ძმა, ურიზმაგი, ეკონომიკის მინისტრის მოადგილე იყო. ის საქართველოში დარჩა, რამდენიმე თვის წინ კი ვერონიკა ქობალიამ გაათავისუფლა.

ყველაზე სკანდალურად საქართველოდან მაინც ვლადიმერ სანაკოევი წავიდა. ქარქუსოვებისა არ იყოს, ისიც რუსეთში გაიქცა, იქ საგანგებო ბრიფინგი გამართა და თქვა, რომ საქართველოში რუსეთის უშიშროების დავალებით მოქმედებდა.

გამოვიდა ისე, რომ დროებითი ადმინისტრაციიდან საქართველოს მხოლოდ დიმა სანაკოევი შემორჩა, რომლის დანიშნულებაც ახლა მხოლოდ ჟენევის მოლაპარაკებებზე სიარულია. ბოროტი ხმები იმასაც ამბობენ, რომ ცოტა ხანში საქართველოდან შეიძლება ისიც წავიდეს.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 94-39-34
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# აკაკი მინაშვილი: „რუსეთთან ომის საფრთხე, პრაქტიკულად, არ არსებობს“

## „ადრე თუ გვიან რუსეთს საქართველოს დეოკუპაცია მოუწევს“

ნანა მიშელაშვილი

**პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი მინაშვილი მიიჩნევს, რომ რუსეთის სი ლიერე როგორც სამხედრო, ასევე ეკონომიკური მითია, ამიტომაც ახალი ომის საშიშროება ალიან მინიმალურია. რა საფრთხეებია მოსალოდნელი 2912 წელს, როდესაც რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნები იქნება და რა გვა ლევს დამშვიდების საფუ ველს? „ახალი თაობა“ აკაკი მინაშვილს ესაუბრა.**

*— რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი მიხეილ სააკაშვილის გამო საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნას მიესალმებოდა, მაგრამ მიაჩნია, რომ ამჟამად ეს არარეალურია. რატომ დასჭირდა მედვედევს მსგავსი განცხადების გაკეთება?*

— მედვედევის ამ განცხადებაზე კომენტარის გაკეთება ცოტა არასერიოზულია, რადგან მთელ მსოფლიოში კარგად იციან, ვინ არის მედვედევი და რა არის რუსული ძალადობრივი სახელმწიფო, არამარტო საქართველოს მიმართ, არამედ, მეზობლებთან და ტრადიციულ მოკავშირეებთან მიმართაც. ამავე კომენტარში ბატონმა მედვედევმა განაცხადა, რომ პრინციპში, ეს არარეალური წინადადებაა. მათი მცდელობა, რომ ცხოვრებაში ახალი რეალობა გაატარონ, თითქოს დამოუკიდებელი აფხაზეთი და დამოუკიდებელი ცხინვალის რეგიონი არსებობს, უშედეგო აღმოჩნდა. ეს მითი დაინგრა და საერთაშორისო პოლიტიკა უფრო საპირისპირო მიმართულებით ვითარდება. ამის დამადასტურებელია აშშ-ის სენატის რეზოლუცია, რომელმაც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ ეს არის საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია. რუსეთი არის დინების წინააღმდეგ მოძრავი ძალა, მაგრამ ასე დიდხანს ვერ იმოძრავებ.

*— მედვედევის განცხადება საერთაშორისო ტრიბუნალთან დაკავშირებით წინასაარჩევნო კამპანიას ხომ არ უკავშირდება?*

— რუსეთის ფედერაციაში წამყვანი პირი ვინც არის, ეს ყველასთვის კარგად არის ცნობილი. ეს არის პრემიერ-მინისტრი პუტინი, ვისი ხელდასმულიც არის ბატონი მედვედევი, რომლის მართვაც ძალიან ადვილია. ეს ადამიანები რუსულ საზოგადოებაში სულ უფრო ნაკლებად პოპულარულები ხდებიან. რუსული საზოგადოების შუა ფენაში სულ უფრო მეტად მიდის საუბრები იმ რეფორმებზე, რაც საქართველოში ხორციელდება — ეს არის პოლიციის რეფორმა, საჯარო სექტორის რეფორმა და ა.შ. მთავარი კი ის არის, რომ ყველა ძალიან კარგად ხვდება, რომ წარმატებული სახელმწიფო არის საქართველო და ჩამორჩენილი და წარუმატებელი სახელმწიფო — რუსეთის ფედერაცია.

*— ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ 2012 წელს, როდესაც რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნები იქნება, პუტინს ისევ დასჭირდეს საქართველოსთან ვითარების დაძაბვა და ომის ახალი საშიშროება ხომ არ არსებობს?*

— 1990-იანი წლების შემდეგ ეს არის რუსეთის ტრადიციული პოლიტიკა და არჩევნების წინ ყოველთვის დაძაბული ვითარება იქმნებოდა საგარეო პოლიტიკაში, იყო ჩეჩნეთში ომები. ომის საფრთხე მყისიერად არ არსებობს იმიტომ, რომ ამ განვითარების შესახებ იცის არა მარტო საქართველომ, არამედ საერთაშორისო საზოგადოებამაც.

*— დამშვიდების საფუძველს რა იძლევა?*

— დამშვიდების საფუძველს იძლევა ის, რომ რუსეთის ფედერაცია ფინანსური კრიზისის შემდეგ ძალიან კარგად მიხვდა, რომ ამ დაძაბული ვითარების დრო არ არის.

*— ესე იგი, რუსეთში ახლა არ არის ის ვითარება, რომ საქართველოსთან ომი დაიწყოს?*

— ამასთან, ჩვენი პოზიცია მტკიცეა იმიტომ, რომ საერთაშორისო საზოგადოების პოზიციაა ძალიან მტკიცე.

*— მაგრამ 2008 წელს საერთაშორისო საზოგადოებამ რუსეთი ვერ შეაჩერა, რომ ომი არ დაეწყო.*

— იმიტომ, რომ იმ მომენტისთვის არავინ ელოდა ომის დაწყებას. დღეს ყველამ იცის, რომ რუსეთი ამის გამკეთებელი ნამდვილად არის. საქართველოს განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი. ყველა მიხვდა, რომ რუსეთის სიძლიერე, როგორც სამხედრო, ასევე ეკონომიკური, არის მითი. ამიტომაც ომის საშიშროება არის ძალიან მინიმალური და რომც აპირებდნენ, სერიოზული ეკონომიკური კაპიტალი დაუჯდება ამ რუსულ ტანდემს და ამაზე არ უნდა წავიდნენ. აქ არის მიზეზთა ერთობლიობა.

*— მათ შორის სოჭის ოლიმპიადაც?*

— მათ შორის ესეც. ყველა მიმართულებით არის გარემოებების თანხვედრა, რაც რუსეთისთვის რთულს ქმნის ომის დაწყებას.

*— ქართველი პოლიტიკოსების გამოყენებით შეიძლება, რომ რუსეთი ვითარების შიგნიდან არევას შეეცადოს?*

— ჩვენს მეზობლებს ეს მითიც დაემსხვრა.

*— რუსეთს აქ დასაყრდენი აღარ ჰყავს?*

— ეს სხვადასხვა მეთოდებით სცადეს და შედეგს ვერც ერთხელ მიაღწიეს. ძალიან მარტივი მისახვედრია, რომ ის პოლიტიკური ჯგუფი, ვისზეც რუსეთი ფსონს დებს, მარგინალური ხდება და საზოგადოებისგან გაკიცხული. ეს არის საზოგადოების დამოკიდებულება რუსეთის, როგორც ოკუპანტის, მიმართ. საზოგადოების არჩევანია, რომ ჩვენ ვართ დასავლურ ღირებულებებზე ორიენტირებულნი.

*— დღეს საქართველოში პრორუსული ძალები საზოგადოების რა ნაწილს წარმოადგენენ?*

— ერთი პროცენტიც არ არის. მათი არსებობა საერთოდ არ იგრძნობა.

*— მედვედევის იმ განცხადებას, რომ რუსეთის ჯარები სარკოზის არ შეუჩერებია და თბილისის აღება მის გეგმებში არ ყოფილა, როგორ აფასებთ?*

— რუსეთს სურს, საქართველოზე ჰქონდეს სრული გავლენა და შეაჩეროს ის პროექტები, რომლებიც ხორციელდება. ეს ეხება ენერგეტიკასაც და სხვა საკითხებსაც. ანუ, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი რუსეთისთვის არაფერს წარმოადგენს და მათი მიზანი ყოველთვის იყო მთლიანად საქართველო, როგორც ერთ-ერთი ყველაზე გემრიელი ლუკმა. განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც საქართველო წარმატებული რეფორმების გამტარებელი ქვეყნის მაგალითია. ამიტომ, მიზანი მთლიანად საქართველოს დაპყრობა იყო და ამის შესახებ მათ ომის შემდეგ რამდენჯერმე ღიად განაცხადეს. მათ შორის, სერგეი ლავროვმა. მაგრამ ამას ვერ მიაღწიეს.



*— უკან დაიხიეს?*

— მთავარი ის იყო, რომ თანხვედრაში იყო ჩვენი მიზანი და საერთაშორისო საზოგადოების აქტიური ჩარევა ამ ამბავში. კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი იმას, თუ რამდენად არარეალურია მითი თუ ისტორია რუსეთის უძლეველობის შესახებ. რუსეთი დღეს არის ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი სახელმწიფო ამ არეალში და ამას კარგად ხვდებიან რუსეთშიც.

*— მედვედევმა განაცხადა, რომ სააკაშვილმა იცრუა, როდესაც მასთან უშედეგო დალაპარაკების მცდელობაზე აკეთებდა განცხადებებს და ისიც დასძინა, რომ სააკაშვილს ცრუ განცხადებების გაკეთება სჩევია.*

— ამაზე კომენტარის გაკეთება სასაცილოა. რუსეთის ფედერაციის მხრიდან ეს ისევ ისტერიული კომენტარებია. ეს ისტერიკა კი იქიდან გამომდინარეა, რომ ამ სამი წლის განმავლობაში ხუხულასავით დაენგრათ ის იმედი, რომ მოიპოვებდნენ ოკუპირებული ტერიტორიების აღიარებას და ამიტომ არიან ასე ცუდად განწყობილნი. თვითონაც კარგად ხვდებიან და რუსულ პოლიტიკურ წრეებშიც ძალიან აქტიურად ხდება იმის ხაზგასმა, რომ ძალიან დიდი შეცდომა დაუშვეს. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ჩვენ აქტიურად დავიწყეთ დიპლომატიური მუშაობა და ურთიერთობა რუსეთთან, რადგან გვინდოდა, რომ პრობლემები დიპლომატიური გზებით გადაგვეჭრა, მათ შორის, გვქონდა კონსტრუქციული წინადადებები, დაახლოებით რვა სამშვიდობო შეთავაზება და აქტიურად ვმუშაობდით ევროკავშირთანაც, ამერიკასთანაც სამშვიდობო კონტინგენტის ფორმატის შეცვლასთან დაკავშირებით. რუსეთის მხრიდან კი ამ ყველაფრის იგნორირება მოხდა და საპასუხოდ მივიღეთ ტერიტორიების ოკუპაცია. ამიტომ, აქ კომენტარი ზედმეტია. ყველამ კარგად იცის, ვინ ჩაშალა ეს მოლაპარაკებები და ვის რა ზრახვები ჰქონდა. რაც მთავარია, ასეთი რამ მხოლოდ საქართველოს მიმართ არ ხდება. ზოგადად რუსეთის პოლიტიკას თუ შევხედავთ, ყველას მიმართ აგრესიული და არამდგრადია და ამიტომ კითხვები არავის ებადება, თუ რა არის რუსეთი.

*— მედვედევი აცხადებს, ჩვენ ომისთვის არ ვემზადებოდით და რუსეთის თავდაცვის მინისტრმა როდესაც მითხრა, საქართველო შეიჭრა ცხინვალში, არ დავიჯერეო.*

— სასაცილოა ამაზე რაიმე კომენტარის გაკეთება და ძალიან დიდ დროს წაიღებს საუბარი იმაზე, თუ ვინ როგორ ემზადებოდა. ყველამ კარგად იცის და ნანახი აქვს ის ქრონოლოგია, მათ შორის, რუსი ექსპერტების, თუ ჯერ კიდევ 2008 წლის დასაწყისიდან როგორ ემზადებოდა რუსეთი, როდესაც აქტიურად დაიწყო ოკუპირებულ ტერიტორიებზე იარაღის შემოტანა და სამხედრო წვრთნები ჩრდილოეთ კავკასიაში. მათ შორის, ის აგრესიული ტონი, რომელიც ამ თვეების განმავლობაში ისმოდა რუსეთის ხელისუფლების მხრიდან. ამიტომ, მედვედევის ეს მცდელობა, რომ ვიღაცას თვალში ნაცარი შეაყაროს, ფუჭია და უფრო საკუთარი თავის დამშვიდების მცდელობაა, ვიდრე ვიღაცის დარწმუნება ამ აშკარა სიცრუეში.

*— რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნების წინ მედვედევსა და პუტინს შორის ვითარების დაძაბვა რამდენად არის მოსალოდნელი. შეიძლება ვთქვათ, რომ პუტინს ისევ პრეზიდენტობისკენ ეხსნება გზა?*

— რა თქმა უნდა, რთული წარმოსადგენია, რომ მედვედევმა პუტინს რაიმე კონკურენცია გაუწიოს.

*— ესე იგი, მედვედევი მეორე ვადით კენჭისყრაზე უარს იტყვის?*

— იმაზე საუბარი, რომ მედვედევი პუტინს რაიმე კონკურენციას შეუქმნის, არარეალურია, იმიტომ, რომ იგი, პირველ რიგში, პუტინის ხელდასმულია. რაც მთავარია, რუსეთში რეფორმები არ მიმდინარეობს და, მცირე განსხვავებების მიუხედავად, მედვედევი მაინც პუტინის ორბიტაზე მყოფი პოლიტიკოსია. არა მგონია, რომ მათ შორის რაიმე კონკურენცია იყოს.

*— გამოდის, რომ პუტინი არის პრეზიდენტობის უალტერნატივო კანდიდატი და რასაც იგი მოისურვებს, ის გადაწყვეტილება იქნება მიღებული?*

— ბუნებრივია. საქართველო თავის რეფორმების გზას გააგრძელებს, როგორც პოლიტიკურის, ასევე ეკონომიკურის. ეს არის ჩვენი წარმატების მთავარი საზომი და მთავარი იარაღიც რუსეთთან საბრძოლველად. გაგრძელდება რეფორმები პოლიტიკაში, დემოკრატიაში, სამხედრო სფეროში, ეკონომიკაში და ა.შ. და ეს მოგვცემს იმ მთავარ კოზირს, რომ რუსეთი დინების წინააღმდეგ ველარ წავა, რადგან ეს მოითხოვს ძალიან დიდ რესურსს და რაღაც პერიოდში რუსეთს აუცილებლად მოუწევს დეოკუპაცია, ისევე როგორც, თავის დროზე, საბჭოთა კავშირს მოუწია ავღანეთის და აღმოსავლეთ ევროპის დეოკუპაცია.

*— როგორ მოუწევს, როდესაც ჯერ კიდევ პრემიერი პუტინი აცხადებს, რომ ის არ დაელაპარაკება სააკაშვილს და, მით უმეტეს, არ დაელაპარაკება მაშინ, როდესაც იქნება რუსეთის პრეზიდენტი?*

— დინების წინააღმდეგ ცურვა სწორედ ეს არის და ეს, 21-ე საუკუნეში დამოუკიდებელი ქვეყნის ტერიტორიის ოკუპაცია, იმდენად დიდ რესურსს მოითხოვს, რომ ძალიან მალე ამოუწურვადი გახდება. ამასთან კრემლის პოლიტიკის წინააღმდეგ მამოძრავებელი ძალა რუსულ საზოგადოებაშიც იქმნება და, რაც დრო გავა, სულ უფრო მეტად გაფართოვდება.

*— პუტინის პრეზიდენტობის ეპოქაში მოხდება საქართველოს დეოკუპაცია?*

— მნიშვნელობა არ აქვს, ეს მისი პრეზიდენტობის ეპოქაში მოხდება თუ არა. მე ერთ რამეში ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საქართველოს დეოკუპაცია მოხდება და ამას პუტინი გადაჰყვება თუ არა, ეს უკვე მათი პრობლემაა. მთავარია ის, რომ რაღაც ეტაპზე მოხდება დეოკუპაცია და რაღაც ეტაპზე რუსეთი გაიხსნება იმ ღირებულებებისთვის, რომლებიც დასავლეთისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

# ნინო ბურჯანაძეს 2 საათის განმავლობაში კითხავდნენ

ნათია ხურცილავა



26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლომ „სახალხო კრების“ არაერთი აქტივისტი დაკითხა.

მათ შორის, გუშინ დაიკითხა აქციების ერთ-ერთი ლიდერი, ნინო ბურჯანაძე. ამ ინფორმაციას „ინტერპრესნიუსი“ ავრცელებს.

საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, საქალაქო სასამართლოში ნინო ბურჯანაძის დაკითხვა ორი საათის განმავლობაში გრძელდებოდა.

ცნობილია, რომ დაიკითხნენ ირაკლი ბათიაშვილი, გია ბურჯანაძე, ლუკა კურტანიძე, შალვა ოგბაიძე.

თბილისის საქალაქო სასამართლოში ბადრი ბიწაძის სასამართლო პროცესზე დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს ლიდერი ნინო ბურჯანაძე დაიკითხა.

ცნობილი გახდა, რომ პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს ორი საათის განმავლობაში მხოლოდ ბრალდებულის ადვოკატები კითხავდნენ.

პროკურორსა და მოსამართლეს ბურჯანაძისთვის შეკითხვები არ დაუსვამთ.

ბურჯანაძე, დაცვის მხარის მოთხოვნით, მოწმის სტატუსით იმყოფებოდა სასამართლო სხდომაზე.

დაკითხვაზე ნინო ბურჯანაძემ „სახალხო კრებაზე“ ისაუბრა, ასევე — „სახალხო კრების“ სტრუქტურებზე, მათ შორის, „შეფიცულებზე“ და მთელ ამ პროცესში ბადრი ბიწაძის როლზე.

სასამართლო სხდომაზე ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ ბადრი ბიწაძე „სახალხო კრების“ არც ერთ სტრუქტურაში არც ოფიციალურად და არც არაოფიციალურად არ მონაწილეობდა.

დემოკრატიული მოძრაობის ლიდერმა დაკითხვის შემდეგ განაცხადა, რომ ბრალდების მხარეს არანაირი არგუმენტი, რომელიც მისი მეუღლის ბრალეულობას დაადასტურებს, არ გააჩნია.

ბურჯანაძემ აღნიშნა, რომ სასამართლო უხერხულ მდგომარეობაშია, რადგან ბრალდებას დამადასტურებელი დოკუმენტი არა აქვს.

მისი თქმით, ორი საათის განმავლობაში არც ერთი შეკითხვა არ დაუსვამს, ამ ფაქტს კი ბურჯანაძე თავისი სიმართლის დადასტურებად მიიჩნევს.

— თეთრი ძაფით კი არა, თეთრი თოკებით არის აღნიშნული საქმე შეკერილი. ვერც ერთ შემთხვევაში ვერც ერთ ნორმალურ სასამართლოში ეს საქმე ბოლომდე ვერ მივა, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ ორსაათიანი დაკითხვის შემდეგ.

ბურჯანაძის დაკითხვამდე მოსამართლემ შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოგზავნილი დოკუმენტი წარმოადგინა, რომლის მიხედვითაც, სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი შოთა უტიაშვილი 8 აგვისტოდან ბათუმში იმყოფება. უტიაშვილის დაკითხვა წინა სასამართლო სხდომაზე იგეგმებოდა. მას უწყებაც ჰქონდა სასამართლოდან გაგზავნილი, თუმცა, არ გამოცხადდა.

ნინო ბურჯანაძის მეუღლე, ბადრი ბიწაძე, საქართველოში არ იმყოფება. გაურკვეველია, სად არის ამ დროისთვის ბიწაძე.

მთავარმა პროკურატურამ ბიწაძეზე სისხლის სამართლის საქმე აღძრა. თუმცა, იმის გამო, რომ ბიწაძე მიმალვაშია, სასამართლო პროცესი ბრალდებულის დაუსწრებლად მიმდინარეობს.

# საქართველოს რკინიგზაზე ავარიები ისევ მოსალოდნელია

## გია ყრუაშვილი ირაკლი ეზუგბაიას მოხსნას ითხოვს

ქეთი ხომერიკი



**„თავისუფალი საქართველოს" პოლიტსაბჭოს წევრი, გია ყრუაშვილი, შპს „საქართველოს რკინიგზის" უფროს ირაკლი ეზუგბაიას მოხსნასა და პასუხისგებაში მიცემას ითხოვს.**

— მივმართავ საქართველოს ხელისუფლებას, სასწრაფოდ ჩამოაშორონ ირაკლი ეზუგბაია დაკავებულ თანამდებობას და შპს „საქართველოს რკინიგზას" ჩაუტარდეს გადაუდებელი ტექნიკური მონიტორინგი, — განაცხადა ყრუაშვილმა.

მისივე თქმით, „თავისუფალმა საქართველომ" ჯერ კიდევ ივნისში გაავრცელა განცხადება, სადაც საუბარი იყო, რომ შპს „საქართველოს რკინიგზაში" მატარებლების უსაფრთხო გადაადგილების თვალსაზრისით სერიოზული დარღვევებია.

— ჩვენ მოვიყვანეთ რამდენიმე კონკრეტული მაგალითი დარღვევათა ვრცელი ჩამონათვალიდან. სამწუხაროდ, შპს „საქართველოს რკინიგზის" ხელმძღვანელობის მიერ არ იქნა გათვალისწინებული აღნიშნული შენიშვნები, რასაც მოჰყვა ავარიათა სერია რკინიგზაზე. ამის შემდეგ ჩვენ კიდევ გავავრცელეთ განცხადება, სადაც ნათქვამი იყო, რომ ავარიულ მდგომარეობაშია როგორც რკინიგზა, ასევე ვაგონები და ელექტრომატარებლები. განცხადებიდან რამდენიმე დღეში, სამწუხაროდ, შპს „საქართველოს რკინიგზა" კვლავ ფაქტის წინაშე დადგა — მცხეთასთან მოხდა სერიოზული ავარია და ნავთობით დატვირთული რამდენიმე ვაგონი რელსებიდან გადავიდა. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობამ, შეიძლება ითქვას, აღიარა ის ფაქტი, რომ რკინიგზაში სერიოზული დარღვევებია და რამდენიმე დღის წინ გამოსცა ბრძანება, რომელშიც ნათქვამია, რომ მაქსიმალური სიჩქარე 100 კმ/საათის ნაცვლად დაშვებულ იქნეს 65კმ/საათი. ბრძანებას ხელს აწერს მგზავრთა გადაყვანის დირექტორი თეიმურაზ ბულია, — აცხადებს ყრუაშვილი.

ყრუაშვილის თქმით, „თავისუფალმა საქართველომ" ამ დარგის სპეციალისტებთან ერთად დეტალურად შეისწავლა შპს „საქართველოს რკინიგზაში" არსებული მდგომარეობა, რომელიც მართლაც საგანგაშოა: ელმავლებსა და ელექტრომატარებლებს არ უტარდებათ შესაბამისი ტექნიკური მომსახურება, ვაგონების თითქმის 95 პროცენტი ამორტიზებულია, ლიანდაგის ტექნიკური მდგომარეობა არ შეესაბამება ექსპლუატაციის ნორმებს, ელმავლების აბსოლუტური უმრავლესობა აღარ ექვემდებარება ქარხნულ აღდგენას.

— ზემოთ მოყვანილი ფაქტებიდან გამომდინარე, მივმართავთ საქართველოს მთავარ პროკურატურას, დაიწყოს გამოძიება შპს „საქართველოს რკინიგზაში" არსებული მდგომარეობის შესასწავლად. ასევე მივმართავ საქართველოს ხელისუფლებას, სასწრაფოდ ჩამოაშორონ ირაკლი ეზუგბაია დაკავებულ თანამდებობას და „საქართველოს რკინიგზას" ჩაუტარდეს გადაუდებელი ტექნიკური მონიტორინგი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მაღალი ალბათობით, მოსალოდნელი ავარიის შედეგებზე პასუხს აგებს როგორც რკინიგზის ადმინისტრაცია, ასევე ხელისუფლების ის წარმომადგენლები, რომლებიც მფარველობას უწევენ ეზუგბაიას, — განაცხადა ყრუაშვილმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე.

**„ახალმა თაობამ" „თავისუფალი საქართველოს" ერთ-ერთ ლიდერს რამდენიმე კითხვით მიმართა.**

***— თუ შეიძლება, ვრცლად გვესაუბრეთ იმ მიზეზებზე, რომელთა გამოც ეზუგბაიას აღნიშნული თანამდებობიდან გათავისუფლებას ითხოვთ. ისე, გაქვთ იმის იმედი, რომ რკინიგზის შეფი ქუდს დაიხურავს და წავა?***

— ჩვენ ვითხოვთ არამარტო ეზუგბაიას გადაყენებას დაკავებული თანამდებობიდან, არამედ მისი კლანის გადაყენებას და პასუხისგებაში მიცემასაც, რომელიც ეზუგბაიასთან ერთად სერიოზულ თანხებს იჯიბავს. ეზუგბაია ცდილობს, „საქართველოს რკინიგზა" გადააქციოს პოლიციურ შენაერთად, რაც გამოიხატება იმით, რომ „საქართველოს რკინიგზაში" 90% ყოფილი პოლიციელი და უშიშროების თანამშრომელი მუშაობს. ბოლო ერთი თვის განმავლობაში „საქართველოს რკინიგზაზე" მოხდა 5 მძიმე შემთხვევა. ჩვენ მაშინაც ვაცხადებდით, რომ ვაგონების ჩაცვენა ყველა აღნიშნულ შემთხვევაში უკავშირდებოდა ლიანდაგების არაჯანსაღ მდგომარეობას, თუმცა, ეზუგბაია საპირისპიროს აცხადებდა, მაგრამ ცოტა ხანში მან დაადასტურა ეს. ეზუგბაიამ გადაწყვიტა, პრობლემების მოგვარებისთვის 100 კმ სიჩქარის ნაცვლად საქართველოს რკინიგზაზე სიჩქარე 65 კმ გაეხადა, თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, მატარებელი 100 კმ-ზე გადავარდება თუ 65-ზე. პრობლემები სიჩქარის დაწევით არ მოგვარდება, ვინაიდან ელმავლების 95%-ის ექსპლუატაციაში გამოყენება არ შეიძლება. მათ საქარხნო შეკეთების ყველა ვადა გასული აქვს და ზოგიერთი მათგანი საქარხნო შეკეთებასაც კი არ ექვემდებარება.

***— რატომ არ ხდება მათი შეკეთება?***

— მათი შეკეთება სერიოზულ თანხებთან არის დაკავშირებული და ის თანხები, რომლებიც ამას უნდა ხმარდებოდეს, ეზუგბაიამ რკინიგზას მოპარა და მიდის ხელისუფლების ჯიბეში. ეს თანხები მათ კონცერტებსა და ტაშფანდურს ხმარდება. თქვენი გაზეთის მეშვეობით მოვუწოდებ ირაკლი ეზუგბაიას, შეწყვიტოს კვალიფიციური რკინიგზელების გაშვება „საქართველოს რკინიგზიდან", სასწრაფო წესით გამოყოს თანხები და შეუდგეს რკინიგზის მწყობრში მოყვანას, რათა არ გაგრძელდეს სერიოზული ავარიები რკინიგზაში. აქვე გეტყვით, რომ ტერორი რკინიგზელების მიმართ დღესაც გრძელდება.

***— რას გულისხმობთ?***

— ნაციონალურმა მოძრაობამ რკინიგზაში შეუშვა ყოფილი პოლიცილები, რომლებსაც სახელად მონიტორინგის ჯგუფი დაარქვა. ისინი ტყეებში უსაფრდებიან მემანქანეებსა და გამცილებლებს, რათა მოსდონ რაიმე შარი და გაუშვან სამსახურიდან. აი, ამ მონიტორინგის ჯგუფს ღამეში დაახლოებით სამი რკინიგზელის გაშვება აქვს დავალებული და იცით, რატომ? სააკაშვილის სურვილია, საქართველოს რკინიგზაში მუშაობდნენ მხოლოდ ერთი აზროვნების მქონე ადამიანები, რომლებიც ყველა დარღვევაზე თვალს დახუჭავენ, განსხვავებული აზრი არ ექნებათ, ერთი სიტყვით, უკლებლივ ყველა უნდა იყოს სააკაშვილის მომხრე და, საერთოდაც, ძალიან მალე ამ გაკოტრებულ რკინიგზას, რომელიც სააკაშვილმა მიზანმიმართულად გაასწორა მიწასთან, ჩაიბარებს ჩვენი მეზობელი სომხეთი რუსეთთან ერთად. ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია. ვიმეორებ, შპს „საქართველოს რკინიგზა" რუსეთს გადაეცემა და სააკაშვილი და მისი კლანი სერიოზულ თანხას ჩაიდებენ ჯიბეში.




# ელგუჯა ჯინჭარაძის მკვლელობისთვის ედიშერ ძასოხოვი დააკავეს

თეა მარხვაი



გასული წლის სექტემბერში მოსკოვში აჭარის შინაგან საქმეთა ყოფილი მოადგილე, ელგუჯა ჯინჭარაძე, მეტსახელად „რემბო", მოკლეს. რუსმა სამართალდამცავებმა მისი მკვლელობა გახსნილად თითქმის ერთი წლის თავზე გამოაცხადეს.

რუსული მედიის ცნობით, სამართალდამცავებმა ჯინჭარაძის მკვლელი ქალაქ ტემრიუკში დააკავეს.

„ლენტა.რუს" ცნობით, ჯინჭარაძის მკვლელობაში ბრალდებული 38 წლის ედიშერ ძასოხოვია, რომელიც სოჭში ცხოვრობს.

დაკავებულმა 2010 წლის 10 სექტემბერს მოსკოვის დასავლეთ ნაწილში, ტარას შევჩენკოს სანაპიროზე მდებარე სასტუმრო „უკრაინასთან" აჭარის ექს-მინისტრის მოადგილე ელგუჯა ჯინჭარაძეს ესროლა.

მკვლელობას ახლა ერთ ადამიანს სდებენ ბრალად. შარშან რუსული პრესა წერდა, რომ თავდასხმა რამდენიმე ადამიანმა განახორციელა. მათ ელგუჯა ჯინჭარაძეს სასტუმრო „უკრაინასთან" გაუხსნეს ცეცხლი, რის შემდეგაც ავტომანქანით მიიმალნენ.

მიღებული ჭრილობებისგან ჯინჭარაძე ადგილზე გარდაიცვალა. მასთან ერთად იმყოფებოდა კიდევ რამდენიმე ადამიანი, რომლებიც ასევე კავკასიური წარმოშობის იყვნენ.

მოგვიანებით მილიციელებმა დააკავეს ავტომანქანა, რომლითაც თავდამსხმელები გაუჩინარდნენ, თუმცა, მანქანის მფლობელი ტაქსის მძღოლი აღმოჩნდა, რომლის ინფორმაციითაც, მგზავრები რუბლიოვკის რაიონში ჩამოსვა. თავდამსხმელებზე ძებნა გამოცხადდა.

ელგუჯა ჯინჭარაძეს შს მინისტრის მოადგილის პოსტი აჭარაში ასლან აბაშიძის მმართველობის დროს ეკავა. ვარდების რევოლუციის შემდეგ ასლან აბაშიძესა და მიხეილ სააკაშვილს შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა.

აბაშიძე ცენტრთან დამორჩილებას არ აპირებდა. ამის გამო მას გარემოცვაშიც შეექმნა პრობლემები. ის ელგუჯა ჯინჭარაძემაც მიატოვა და სააკაშვილის მხარეს გადავიდა, მერე კი საცხოვრებლად რუსეთში წავიდა, სადაც, როგორც ჩანს, მისი ოჯახის წევრებს არ უმართლებთ.

ცნობისათვის: ელგუჯა ჯინჭარაძე ბიზნესმენ მამუკა ჯინჭარაძის ძმა იყო. მამუკა ჯინჭარაძეც რამდენიმე წლის წინ მოსკოვში მოკლეს.

რუსული მედიის ცნობით, ედიშერ ძასოხოვი ელგუჯა ჯინჭარაძეს კარგად იცნობდა. სამართალდამცავები არ გამორიცხავენ, რომ დანაშაული პირადი დაპირისპირების ნიადაგზე იყოს ჩადენილი.

# თურქეთში საქართველოს სამი მოქალაქე დააკავეს

თურქეთში მაღაზიის გაქურდვის ფაქტზე, საქართველოს სამი მოქალაქე დააკავეს.

ქალაქ ტრაპიზონში კახა კეკუტია, გურამ თოლორდავა და კახა ვეკუა იმ დროს დააკავეს, როდესაც ისინი სავაჭრო ცენტრში მაღაზიას ძარცვავდნენ.

მაღაზიის მეპატრონემ მალულად პოლიციის გამოძახება მოახერხა, რის შედეგადაც ეჭვმიტანილები სამართალდამცავებმა ადგილზე აიყვანეს.

არსებული ინფორმაციით, სპეცოპერაციის დროს, ქართველებმა სამართალდამცავებს წინააღმდეგობა გაუწიეს.

როგორც ცნობილია, ეჭვმიტანილები წარსულში უკვე იყვნენ ნასამართლევები.

**მედიანიუსი**

# საქართველოში მეცნიერებას კლავენ

## ქართველები მალე მომსახურე ერად ვიქცევით

ნათია ხურცილავა

მეცნიერებათა აკადემიის კვლევითი ინსტიტუტების ყოფნა-არყოფნის საკითხი ისევ დღის წერიგში დადგა. მეცნიერები აცხადებენ, რომ საქართველოში სამეცნიერო პროცესის ლიკვიდაცია ხდება.

რამდენად რეალურია ეს ინფორმაცია, რატომ განახლდა ეს პროცესი?

ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენელს, პროფესორ თემურ ნანეიშვილს ესაუბრა.

**თემურ ნანეიშვილი:**

— ამ ეტაპზე, როგორც ჩანს, ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ სწორედ ახლაა ის მომენტი, როდესაც შეიძლება, საბოლოო დასრულდეს ეს პროცესი, ის, რაც მათ ჩაფიქრებული ჰქონდათ.

***— რა ჰქონდათ ჩაფიქრებული?***

— ჯერ კიდევ ჟვანიას პრემიერობის დროს შეიქმნა 60-კაციანი კომისია, რომელსაც არ უმუშავია. ამ კომისიიდან 10 ადამიანი შეირჩა და შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, სადაც მეც გახლდით. მაშინ მეცნიერებათა აკადემიის რეორგანიზაციის რამდენიმე ვარიანტი არსებობდა. ვამბობდით, რომ ინსტიტუტები თემატიკების მიხედვით შეიძლებოდა გაერთიანებულიყო, მაგრამ ეს იქნებოდა რეფორმა და არა მეცნიერებათა აკადემიის ლიკვიდაცია. ასევე არსებობდა სხვადასხვა გეგმა. რასაკვირველია, ჩვენ მაშინაც არ ვიყავით კმაყოფილი აკადემიის სისტემის მუშაობით. ბევრი ბალასტი იყო. თუმცა, პროდუქცია იქმნებოდა, მაგრამ, სასურველი იყო, უკეთესად ემუშავა მეცნიერებათა აკადემიის სისტემას. იმ რეფორმას, რომლის პროექტიც ჩვენ გვქონდა, მეცნიერებისთვის სარგებლობა უნდა მოეტანა და არა ის, რაც საბოლოო ჯამში გამოვიდა. ლომაიასთან ერთად იყო ეს პროექტი შედგენილი.

***— რომელი პროექტი?***

— რომელიც ბოლომდე ახლა მიიყვანეს. იმ პროექტში საუბარი იყო იმაზე, რომ მეცნიერებათა აკადემიის კვლევით ინსტიტუტებს საბაზო დაფინანსება უნდა მოხსნოდათ და მხოლოდ საგრანტო დაფინანსებით უნდა ეარსება ინსტიტუტს. ამის წინააღმდეგ, რასაკვირველია, აქტიურად გამოვედი. საბაზო დაფინანსების გარეშე წარმოუდგენელია, სამეცნიერო ინსტიტუტმა იარსებოს, თან მხოლოდ გრანტებით. წარმოუდგენელი იყო, რომ ეარსება, მაგალითად, იმ ინსტიტუტს, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი — ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტს, ასევე იყო სხვა ინსტიტუტები. ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობს საგრანტო დაფინანსება, მაგრამ იქ 3500 ფონდია. ასევე უნდა აღვნიშნო, რომ გრანტი შეიძლება მიიღო ან ვერ მიიღო.

***— თქვენ ამბობთ, რომ ეს ადრინდელი პროექტია და ახლა ხდება მისი ბოლომდე მიყვანა?***

— დიახ, ის, რაც დღეს ხდება, 2005-2006 წლების ჩანაფიქრი იყო, მაგრამ მაშინ ვერ გააკეთეს. პირველად აკადემიას მიადგნენ, მაგრამ მეცნიერებათა აკადემია მაშინ მაგრად დადგა, წინააღმდეგობა გაუწია. ამიტომ ჯერი დედა უნივერსიტეტზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტზე მიდგა. გაანადგურეს და ახლა ისევ მეცნიერებათა აკადემიას დაუბრუნდნენ.

***— რეალურად რა ხდება?***

— ხდება ის, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი ჩამოართვეს კვლევით ინსტიტუტებს. ფილარმონიაში დიდი შეკრება გაიმართა. სწორედ ის იყო პირველი ორგანიზებული დიდი შეკრება ამ ყველაფრის წინააღმდეგ. მახსოვს, მეცნიერებათა აკადემიის კრებაზე დავადგინეთ, რომ აკადემიკოსები ქუჩაში უნდა გამოვსულიყავით პროტესტის ნიშნად. დაახლოებით 2000-2500 მეცნიერი შეიკრიბა. ხელისუფლება ჯერ კიდევ უწევდა ანგარიშს რაღაცას, ასე არ იყო ძალაუფლებისგან გარყვნილი, რამდენიმე ადამიანი საპარლამენტო კომიტეტის მაშინდელ თავმჯდომარეს გრიგალაშვილთან შეგვიპატიჟეს. მათი პროექტის მიხედვით, 65 წლის მეცნიერი ბუნებაში არ უნდა ყოფილიყო. ამ საკითხის გარდა, როგორც უკვე აღვნიშნე, საბაზისო დაფინანსების გაუქმებას ითხოვდნენ. არ მესმის, 65 წლის მეცნიერს როგორ უნდა აუკრძალო წიგნის კითხვა და სტატიის დაწერა, კვლევის წარმოება. მაშინ შევძელით, ეს ორი საკითხი მოგვეხსნა. ამან დღემდე, ასე თუ ისე, მოიყვანა კვლევითი ინსტიტუტები, თუმცა, აღმოჩნდა, რომ ეს დროებითი ყოფილა. ინსტიტუტებს ჩამოართვეს ქონება, რადგან საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი ჩამორთმეული აქვთ. ასევე გააუქმეს სახელობითი სტატუსები, მაგალითად, ბერიტაშვილის, მუსხელიშვილის სახელები და შეუერთეს უნივერსიტეტებს. განსაკუთრებული აქტიურობით გიგი თევზაძე გამოირჩეოდა, რომელიც ოქროს კოშკებს ჰპირდებოდა ინსტიტუტის დირექტორებს. დღეს, ფაქტობრივად, აღარ არსებობს სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი. ეს ცინიზმის უმაღლესი მწვერვალია.



***— რატომ?***

— იმიტომ, რომ საკითხი ასე დგას: მოდი, ოთახს მოგცემ, კომუნალურ გადასახადებს გადაგიხდი, იმუშავე, იკვლიე, მაგრამ ხელფასს არ მოგცემ. მითხარით, ეს რა არის?! რა, მეცნიერები უჭმელ-უსმელი ხალხია, გზის ფული არ სჭირდებათ, ცხოვრება არ უნდათ. ასეთია დღეს სახელმწიფოს ზრუნვა მეცნიერებაზე.

***— სადამდე მიიყვანს ქვეყანას ეს პროცესი?***

— იქამდე, რომ ყველა გავხდებით მომსახურე პერსონალი, რადგან ჩვენს ხელისუფლებას გეზი ტურიზმისკენ აქვს აღებული. ერი გადაიქცევა მომსახურე ერად, რაც ნიშნავს იმას, რომ როდესაც საუბარია, დაახლოებით 10 მილიონი ტურისტი უნდა ჩამოვიდეს, თითო ტურისტს მინიმუმ სამი-ოთხი მომსახურე პერსონალი ხომ უნდა. ე.ი. ყველა მომსახურე უნდა ვიყოთ. ქვეყანას, რომელმაც ტურიზმი პირველ, ფაქტობრივად, ერთადერთ პრიორიტეტად გამოაცხადა, მას მეცნიერება რად უნდა. თუმცა, ბუნებაში ასეთი ქვეყანა არ არსებობს. ერთადერთი, რაც ცნობილია, რომ ტურიზმი მაღალ დონეზე იყო აყვანილი, საბერძნეთი იყო, რომელმაც კრახი განიცადა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს. ასეთი გზით მიდის ეს კაცი. ხომ ვხედავთ, რომ ტურიზმიც არ ამართლებს.

***— თუმცა, გარკვეულ სტატისტიკურ მონაცემებს აქვეყნებენ...***

— წლევანდელმა სეზონმა აჩვენა, რომ ტურიზმი არ ამართლებს, იმდენი არ არის მოგება, რამდენიც გათვლაა. წლევანდელმა სეზონმა არ აჩვენა, რა ხდება ამ კუთხით, ბათუმიდან მირეკავენ და მეუბნებიან, რომ სეზონი ჩავარდა. რასაკვირველია, ეს არ არის სასიხარულო, მაგრამ შეიძლება, ყველაფერი ტურიზმს შესწირო. კარდინალური შეცდომაა დაშვებული.

***— სად არის შეცდომა დაშვებული?***

— იმაში, რომ ფუნდამენტური მეცნიერება ამათ არ სჭირდებათ, არც ფუნდამენტური და არც გამოყენებითი, რადგან, თუ ფუნდამენტური მეცნიერება მოსპეს, არც გამოყენებითი იქნება, რადგან ერთმანეთის გარეშე წარმოუდგენელია. შესაბამისად, მასწავლებელს მასწავლებელი არ ეყოლება და საერთოდ მასწავლებელი არ იქნება. აქეთკენ მიდის ყველაფერი. გაგიგონიათ მეცნიერის გარეშე მასწავლებელი? ნუთუ, იმას არ ფიქრობენ, რომ ახალი ტექნოლოგიების საუკუნეა და, ამის დანერგვა რომ მოხდეს, უცხოელმა უნდა დანერგოს. ისევ უცხოელის ხელში უნდა ვიყოთ? წყალი, ელექტროენერგია უცხოელებს გადავეცით, ისინი განკარგავენ. ნებისმიერ ტექნოლოგიას დამკვიდრება, აწყობა სჭირდება. მალე საქართველოში არც ამწყობი იქნება და არც მისი მცოდნე, მაშინ როდესაც ჩვენი ფიზიკოსები და ქიმიკოსები ამერიკასა და შვეიცარიაში საბჭოს სხდომებს ლამის ქართულად ატარებენ.

***— იმდენნი არიან?***

— რასაკვირველია, კადრების გადინება ხდება. ახალგაზრდები, რომლებიც ჯერ არ წასულან, ისინიც წავლენ, რასაც მოჰყვება გაუნათლებლობა და ვიქნებით გაუნათლებელი ერი.

# პაატა ჯიბლაძე: „ბაგა-ბაღებში გადასახადის დაწესება ერის გენოციდს ემსახურება“

შორენა კოწოწაშვილი

**ლეიბორისტული პარტია ხელისუფლებას ბავშვების გენოციდში ამხელს და დედაქალაქის მერის მოუწოდებს, უკან წაიღოს გადაწყვეტილება საბავშვო ბაღების ინდივიდუალური დაფინანსებასთან დაკავშირებით.**



ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა პაატა ჯიბლაძემ გუშინ სპეციალური განცხადება გააკეთა ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით და გიგი უგულავასა და ამ ხელისუფლებას მოუწოდა, უკან წაიღონ მომავალი თაობების გენოციდზე გათვლილი გადაწყვეტილება.

— ამ ზაფხულის განმავლობაში, როდესაც, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ოჯახები შვილებს ვეღარ ასვენებენ, ჯერ ტრანსპორტზე გააძვირეს მგზავრობის გადასახადი, ახლა ბაგა-ბაღებში დააწესეს გადასახადი, რომელიც 50-დან 100 ლარამდე განისაზღვრა. ჩვენი ინფორმაციით, მინიმალური გადასახადი ერთ ბავშვზე, ალბათ, იქნება 70-75 ლარი, — აცხადებს ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი პაატა ჯიბლაძე.

პაატა ჯიბლაძე დაუშვებლად მიიჩნევს მსგავსი პოლიტიკის გატარებას და აცხადებს, რომ ეს გადასახადი ისედაც სოციალურად გაჭირვებულ მოსახლეობას მძიმე ტვირთად დააწვება.

— 200 ათასი და დაბალი ქულები ვისაც აქვს მინიჭებული, ესენი ძირითადად არიან ნაცმოძრაობის აქტივისტები, ის ადამიანები, რომლებსაც ამათმა სოციალური დაცვის სააგენტომ მიანიჭა შესაბამისი ქულები, სარგებლობენ ყველანაირი შეღავათით, დაწყებული ოპერაციებით, წყლის, ნაგვისა თუ ტრანსპორტის გადასახადით დამთავრებული. ძირითად მასას ჩვენი თანამოქალაქეებისას, რომლებსაც 40-50 წლის წინანდელი გაზქურა ან მაცივარი აქვთ, სოციალურად დაუცველის სტატუსს არ აძლევენ იმ მოტივით, რომ მაცივარი ან ტელევიზორი აქვთ. აქედან გამომდინარე, უნდა გადაიხადონ ის გადასახადები, რომლებიც დადგენილი აქვს სააკაშვილ-უგულავას ბანდიტურ დაჯგუფებას, — აცხადებს პაატა ჯიბლაძე.

დღეისთვის თბილისში მოქმედებს დაახლოებით 80-მდე ბაგა-ბაღი, ხოლო სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლამდე 150 ბაგა-ბაღი იყო. ჯიბლაძემ გაიხსენა ის პერიოდი, როცა სააკაშვილი შევარდნაძის თანაგუნდელი და მისი უმრავლესობის ლიდერი იყო, ხოლო ლეიბორისტები იმ პერიოდში იბრძოდნენ იმისთვის, რომ სკოლის ბავშვებს უფასო განათლება ჰქონოდათ.

— როცა სააკაშვილს დაატარებდა ღრმად პატივცემული ედუარდ შევარდნაძე დამაქცევარი და ეუბნებოდა თბილისელებსა და საქართველოს მოსახლეობას, თქვენი მომავალი პრეზიდენტი ეს არისო, გაიხსენეთ, მაშინ ლეიბორისტული პარტია როგორ იბრძოდა, რომ არ გაყიდულიყო ბაგა-ბაღები, საჯარო სკოლები და ა.შ. დღეს კი ხელისუფლება მორიგ მძიმე დანაშაულს სჩადის და ყიდის ბაგა-ბაღებს, სკოლებს, საავადმყოფოებს. ამ გზით მას ქვეყანა მიჰყავს იმ გენოციდისკენ, რომელიც რამდენიმე წელიწადში გამოაჩენს თავის მძიმე შედეგებს, — აღნიშნა პაატა ჯიბლაძემ.

მისი თქმით, ასეთი დუხჭირი ცხოვრების პირობებში ახალგაზრდა წყვილი დაფიქრდება, იყოლიონ თუ არა ორი და მეტი შვილი. სააკაშვილის ეს პოლიტიკა პირდაპირ არის მიმართული იქითკენ, რომ მოხდეს ქართველი ერის გენოციდი.

***— ბატონო პაატა, მამუკა ქაცარავას ინფორმაციით, საბავშვო ბაღებში გადასახადი 50 ლარზე მეტი არ იქნება, თქვენ კი 100-ლარიან გადასახადზე მიანიშნებთ.***

— ბაღებს დაყოფენ უბნების მიხედვით და გადასახადებიც შესაბამისი იქნება. ერთი-ორი ბაღი შეიძლება საჩვენებელი იყოს და იქ გადასახადი იყოს 50 ლარი, მაგრამ ძირითადად გადასახადი ითამაშებს და იქნება 65-დან 100 ლარის ფარგლებში, ანუ ბაღებში გადასახადი იქნება უბნების მიხედვით. პრესტიჟულ უბნებში იქნება უფრო ძვირი. ასეთი ინფორმაცია მაქვს და, სამწუხაროდ, ჩვენი ინფორმაციები მართლდება ხოლმე. ჩვენ ობიექტურ ინფორმაციას ვეყრდნობით. არ დაგავიწყდეთ, რომ მერიაშიც არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც არ ეთანხმებიან ამ ხელისუფლების პოლიტიკას. შეგახსენებთ რამდენიმე ხნის წინ ჩემ მიერ გაჟღერებულ ინფორმაციას, რომ იგეგმებოდა სამარშრუტო ხაზების ერთი პირისთვის გადაცემა. აღმოჩნდა, რომ ეს პირი არის სააკაშვილის კარის ბიზნესმენი შარანგია. შარანგია, რა თქმა უნდა, არის წარმომადგენელი უგულავა-სააკაშვილის ტანდემისა ამ ბიზნესში. მაშინვე ვამბობდით, რომ ეს გამოიწვევდა როგორც ახალი სამარშრუტო ტაქსების შემოყვანას, ისე ამ მიზეზით მგზავრობის ღირებულების გაძვირებას. ჩვენ თბილისელებს მოვუწოდეთ, არ გადაეხადათ უგულავა-სააკაშვილის 80-თეთრიანი ბეგარა. ამ ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას გავაგრძელებთ, ნაცმოძრაობის პოლიტიკურ მოუსავლეთში წასვლის შემდეგ გაყიდული ბაღებიც დაუბრუნდებათ ჩვენს ბავშვებს და ეს დაწესებული გადასახადებიც გაუქმდება, რომელიც ხალხის ძარცვისთვის არის გამიზნული.

***— რატომ ფიქრობთ, რომ ეს გადაწყვეტილება ერის გენოციდზეა გათვლილი?***

— იმიტომ, რომ სააკაშვილის პოლიტიკა აქეთკენ არის მიმართული. სააკაშვილს აქ სჭირდება 700-800.000 კაცი, რათა მათ და მათ შვილებს ემსახურონ, ეს ქვეყანა კი უნდა სამაჩაბლოსა და აფხაზეთის გარეშე, ანუ სააკაშვილი ფიქრობს, რომ საქართველო უნდა იყოს მიშასი, მისი შვილებისა და მისი უახლოესი გარემოცვისა.

***— რატომ გახდა საბავშვო ბაღები ფასიანი, საბიუჯეტო პრობლემები აქვს ხელისუფლებას?***

— არა. ამათი მადა იზრდება და ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ობიექტი ჩაიგდონ ხელში, მეტი საკუთრება შეიძინონ. ზედა ეშელონებში დაპირისპირება სხვა არაფერია, თუ არა ქონებრივი გადანაწილებები. ეს გადაწყვეტილებაც ქონების დაგროვებას უკავშირდება.

# წითელი ყაყაჩოების კვირეული

თბილისის საქალაქო სასამართლო რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულთა ხსოვნის კვირეულს შეუერთდა.

რუსეთთან ომში დაღუპული გმირების მოსაგონრად თბილისის საქალაქო სასამართლოს ყველა თანამშრომელმა წითელი ყაყაჩო დაიბნია. სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიების მოსამართლეებს ერთი კვირის განმავლობაში წითელი ყაყაჩოები მკერდზე ექნებათ მიმაგრებული. თბილისის საქალაქო სასამართლოს მენეჯერის ვანო ზარდიაშვილის განცხადებით, კვირეული ძალიან მნიშვნელოვანია და მუდამ უნდა გვახსოვდეს ადამიანები, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად სამშობლო გადაარჩინეს, ამიტომ სასამართლოში მოსულ მოქალაქეებს ჩვენი გმირების ხსოვნის უკვდავსაყოფად, წითელ ყაყაჩოებს საჩუქრად გადავცემთ.

გუშინდელი ღონისძიება გაზეთ „პრაიმ-ტაიმის“ მიერ ორგანიზებული ხსოვნის კვირეულის ფარგლებში გაიმართა. კვირეულის სიმბოლოა ერთიანობისა და სამშობლოსთვის დაღვრილი სისხლის სიმბოლო-კრწანისის ველის ყაყაჩო. საქველმოქმედო აქციიდან შემოსული თანხა ომში დაღუპულთა შვილების სწავლას მოხმარდება.

**თბილისის საქალაქო სასამართლოს პრესსამსახური**

# ქუთაისში ლეიბორისტებმა აღმაშენებლის ძეგლის გადატანა გააპროტესტეს

ლეიბორისტული პარტიის ქუთაისის ორგანიზაცია დავით აღმაშენებლის ძეგლის ქუთაისის გარეუბანში გადატანას აპროტესტებს და ხელისუფლებას ანტისახელმწიფოებრივ ქმედებაში ადანაშაულებს.

როგორც „მედიანიუსს“ პარტიის ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარე სამსონ გუგავამ განუცხადა, ძეგლის დემონტაჟი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ბრძანებით მოხდა.

მისი თქმით, სააკაშვილს სძულს საქართველო და ქართველი ხალხი.

— დავით აღმაშენებელი გაერთიანებული საქართველოს აღორძინებასთან ასოცირდება, სააკაშვილი კი მის დამშლელთან და სწორედ ამიტომ ისურვა მან დავით აღმაშენებლის ძეგლის ქალაქის ცენტრიდან რკინიგზის მოედანზე გადატანა, — განაცხადა გუგავამ.

მისი თქმით, ახლო მომავალში ძეგლისათვის ექვსმეტრიანი კვარცხლბეკის მომზადება იგეგმება, თუმცა ძეგლი ამ დროისათვის ქუთაისის რკინიგზის სადგურში ბრეზენტში გახვეული დევს ისე, როგორც უბრალო ნივთი.

შეგახსენებთ, რომ დავით აღმაშენებლის ძეგლის დემონტაჟი ქუთაისში დავით აღმაშენებლის მოედნიდან 7 აგვისტოს განხორციელდა. ძეგლი ქალაქის ცენტრიდან რკინიგზის სადგურში გადაიტანეს.

**მედიანიუსი**

# „აგვისტოში ვერც ჩვენ მოვიგეთ და ვერც — რუსეთმა“

ნონა ცაბა ე

## ინტერვიუ ექსპერტ სოსო ცისკარიშვილთან

***— აგვისტოს ომიდან 3 წელი გავიდა. როგორ შეაფასებთ 2008 წლის მოვლენებს?***

— რაც დრო გადის, მით უფრო მძიმდება სიტუაცია. არც არაფერი მოგვიგია, მაგრამ გვსურს თავი დავიმშვიდოთ იმით, რომ ვერც რუსეთია გამარჯვებულის როლში. ეს იყო ორი უპასუხისმგებლო ხელისუფლების მიერ გადადგმული არაადეკვატური ნაბიჯი, რომელშიც დაზარალდა ქართველი მოსახლეობა და საკუთარი სახის წარმოჩენით საერთაშორისო ასპარეზზე იზარალა რუსეთმაც. ახლა რაც უნდა პომპეზური ხსოვნის დღეები მოვაწყოთ, ჩვენ ვერც დაღუპულებს გავაცოცხლებთ და ვერც ისტორიას შევცვლით. ვიდრე არის მცდელობა, რომ სიყალბით გადაიფაროს სინამდვილე და ამის მოწმენი ვართ ჩვენ როგორც მოსკოვში, ისე თბილისში, მანამდე მოსახლეობა ორი მოქიშპედ წარმოჩენილი ქვეყნისა, იქნება გაუგებრობაში და არანაირი სიკეთე ასეთ პერსპექტივას არ გააჩნია რომელიმე მხარისთვის. ამიტომ ის, რაც გვტკივა, უნდა როგორმე დავიამოთ, გავიხედოთ წინ, პატივისცემა მუდმივად უნდა ჰქონდეთ მსხვერპლთ, რომლებიც შეწირულნი იყვნენ ხელისუფლების მიერ გაუაზრებელ სამხედრო ქმედებებში, როგორც ქართული, ისე ოსური და რუსული მხრიდან და რაც უნდა ვიძახოთ ხუთდღიანი ომის თაობაზე, ჩვენ ხომ კარგად გვახსოვს, რომ ხუთი დღე იომა რუსეთმა, საქართველომ კი დღე-ნახევარში შეწყვიტა წინააღმდეგობა.

***— და ომი მოგებულად გამოაცხადა...***

— ვფიქრობ, რომ ეს იყო მარაზმატული სასოწარკვეთილებით გამოწვეული რეაქცია და არაადეკვატურ ვითარებაში რეაქცია დასაშვებია, რომ იყოს არაადეკვატური, მაგრამ როცა ეს წლების განმავლობაში გრძელდება და არგუმენტი აღარ დაგვრჩა ამისთვის, რას ჰქვია ჩვენი მოგება, პირდაპირ ვთქვათ, რომ ჩვენი ხელისუფლება სულელურ მდგომარეობაში იგდებს თავს და ამით შეურაცხყოფას აყენებს დაღუპულთა ხსოვნასაც.

***— როგორც ექსპერტი, რა შეფასებას მისცემდით რუსეთის პრეზიდენტის მიერ გაკეთებულ განცხადებებს? მედვედევმა განაცხადა, რომ იგი მიესალმებოდა საქართველოს პრეზიდენტის საერთაშორისო ტრიბუნალისთვის გადაცემას...***



— ერთი შეხედვით, თითქოს ახალი არაფერი თქმულა. ჩემთვის მთავარი გზავნილი ის გახლდათ, რომ მედვედევმა, ძველი ქურდული მენტალიტეტის მქონე ადამიანის მსგავსად, საკუთარ თავზე აიღო ყველაფერი და პირი მობანა პუტინს, როგორც მთავარ მოქმედ პირს, საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო აგრესიისა. ეს მაფიქრებინებს, რომ მედვედევი დათანხმდა, იყოს ნდობით აღჭურვილი პირი პუტინის საპრეზიდენტო არჩევნებზე, რადგან აქამდე ძირითადად არა მხოლოდ დასავლეთის, არამედ ქართული საზოგადოების ისარიც მიმართული იყო პუტინის წინააღმდეგ, რომელიც აშკარად ანტიქართული პოლიტიკის გამტარებელი იყო. ჯერ დსთ-ის იმ ხელშეკრულებიდან გამოვიდა, რომელიც ავალდებულებდა, როგორც რუსეთის წამყვან ფიგურას, რომ ანგარიში გაეწია საქართველოს ინტერესებისთვის აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობისას. შემდგომ შემოიყვანა რკინიგზის ჯარები, თითქოს ყვავილების დასაწყვეტად აფხაზეთის აყვავებულ მინდორველებზე. შემდგომ 58-ე არმია ...ება ჩრდილოეთის მხრი- ... კავკასიის ქედს, თითქოსდა მზის აბაზანების მიღება უნდოდათ ჯარისკაცებს და ყველაფერ ამას მედვედევი მიამიტი ბავშვისთვის შექმნილ ვერსიას გვთავაზობს, რომ თურმე ომის დაწყების წინა დღემდე არ იცოდა, როგორ შეიძლებოდა განვითარებულიყო მოვლენები. როდესაც კაცი ამბობს, რომ მას შემდეგ, რაც მან გასცა ბრძანება რუსული ჯარის საქართველოს ტერიტორიაზე შესვლისა, მხოლოდ 24 საათის მერე ჰქონდა პირველი სატელეფონო კონტაქტი პუტინთან, რომელიც იმ დროს ჩინეთში იმყოფებოდა ოლიმპიადაზე, ვინ დაიჯეროს ეს სიბრიყვე?! როგორ წარმოგიდგენიათ, რომ პუტინი 24 საათის განმავლობაში საერთოდ არ არის ინფორმირებული, სად არის თურმე მისი ჯარი, რა ხდება კავკასიაზე, ვახშმობს ბუშთან ერთად, ზოგადად საუბრობს ანტიქართულ თემებზე და ამასობაში რუსული ჯარი თურმე შედის და შედის ღრმად საქართველოში. როცა ასე დიდი ტყუილით იწყებ, მერე ყველაფერი დანარჩენი სიმართლე რომ თქვა, მაინც არავინ დაგიჯერებს. ამდენად, ჩემთვის ნაკლებად სარწმუნოა, რასაც ბრძანებს მედვედევი. ეჭვი არ მეპარება ერთში, რომ მას ნამდვილად შეიძლება სურდეს სააკაშვილის გასამართლება საერთაშორისო სასამართლოს გზით, იმ შემთხვევაში, თუ ყოველივე ის, რაც ჩვენ ვიხილეთ 2008 წელს, არ იყო ერთიანი სცენარის შედეგი.

> „სანამ რუსეთის, და საქართველოს ხელისუფლებაში ომის წამომწყები პოლიტიკოსები დარჩებიან, არაფერი შეიცვლება“

***— საკმაოდ ბევრს საუბრობენ, რომ ეს ყველაფერი ურთიერთშეთანხმების შედეგად მოხდა, რამდენად გჯერათ თქვენ ამის, ბატონო სოსო?***

— არ მჯერა და არც მინდა დავიჯერო. მაგრამ თუ სიჯიუტე, რომელიც გადადის სიბრიყვეში, ორი მეზობელი ქვეყნის პირველი პირების მთავარი მახასიათებელია, მაშინ ყველაფერი შესაძლებელია.

***— მედვედევი და პუტინი აცხადებენ, რომ ისინი მზად არიან ქართულ მხარესთან დიალოგის დასაწყებად, ოღონდ სააკაშვილის გარეშე. როგორ ფიქრობთ, ეს მხოლოდ საბაბია?***

— ეს პრიმიტიული თემაა, რომელიც აღარ მუშაობს. ამ შემთხვევაში ეს აღარაფერს აკლებს სააკაშვილის შელახულ ავტორიტეტს, ეს ფორმულა მოძველდა, იმიტომ, რომ მსოფლიოც დარწმუნდა, რომ მედვედევი და პუტინი არც არაფრით ჯობიან სააკაშვილს და ნიჭიერების თვალსაზრისით ბევრად ჩამორჩებიან კიდეც.

***— ამ ფონზე რამდენად არის იმის შანსი, რომ დაიძრას ყინული და ურთიერთობის გამოსწორებისკენ გადაიდგას ნაბიჯები?***

— ნაბიჯები შეიძლება გადაიდგას, მაგრამ რეჟიმში — ადგილზე ნაბიჯით იარ. მთავარია, წინსვლის პერსპექტივა თუ აქვს რომელიმე ხელისუფალს, რომელიც დღეს წარმოადგენს ორ დაპირისპირებულ ქვეყანას. ვიდრე პოლიტიკურ არენაზე არიან იმ გუნდების მეთაურები, რომლებმაც ატეხეს ეს ომი, ჩვენ ვიქნებით ასე ადგილზე მოარულნი და ნელ-ნელა, უკუსვლით მოგვიწევს გადაადგილებაც.

***— მედვედევის ინტერვიუ პუტინის პიარკამპანიის ნაწილი იყო?***

— საერთოდ არა მხოლოდ ჭუჭყიან ფულს უნდა გარეცხვა, არამედ ჭუჭყიან პოლიტიკოსსაც და ეს იყო მცდელობა, რომ გაათეთრონ, გარეცხონ პუტინი, მომავალი პრეზიდენტი და ამაში აქტიურ მონაწილეობას იღებს თავად მოქმედი პრეზიდენტი დღევანდელი რუსეთისა.

***— ფიქრობთ, რომ კვლავაც პუტინი გახდება რუსეთის პრეზიდენტი?***

— თვითონ მას რომ ძალიან უნდა, მე ამაში ეჭვი არ მეპარება.

***— ჩვენი პრეზიდენტისა არ იყოს, ხომ?***

— ჩვენს პრეზიდენტს უფრო ფართო არჩევანი აქვს, რადგან საქართველოში უფრო მარტივია მოირგო კონსტიტუცია დღე-ღამის განმავლობაში ნებისმიერ წუთს. ამიტომ მე ვთვლი, რომ შეიძლება მისთვის მისაღები აღმოჩნდეს პარლამენტის თავმჯდომარეობა, იმ პარლამენტისა, რომელმაც უნდა დაამტკიცოს ან არ დაამტკიცოს მთავრობა, ოღონდ ისეთი შინაური პრეზიდენტის არსებობის პირობებში, რომელიც არჩევანის გარეშე ყოველთვის მთავრობას გადააყენებს და არა — პარლამენტს.

# ბოკერია და უგულავა ერთ მხარეს არიან, მერაბიშვილი და ადეიშვილი — მეორე მხარეს

ნინო მეტრეველი

## ნაციონალების ერთიანობას წყალი შეუდგა

შემოდგომიდან რომ დაიწყება პოლიტიკური დიდი ბაქქანალია, როდის დამთავრდება, კაცმა არ იცის. წინ ორი სამკვდრო-სასიცოცხლო არჩევნებია, გადამწყვეტი კი მაინც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები იქნება.

საპარლამენტო მოდელზე გადასულმა ქვეყანამ პირველად უნდა აირჩიოს უფლებამოსილებებით დატვირთული პრემიერ-მინისტრი. ამას პარლამენტის ნახევარი და კიდევ ერთი, ანუ 91 დეპუტატის ხმა სჭირდება. ბევრი მკითხაობა არ უნდა, რომ ნაცმოძრაობა ყველა აპრორირებულ, თუ ახალ ხერხს გამოიყენებს, რომ მომავლ პარლამენტში ხმათა საჭირო რაოდენობა ჰქონდეს. ოპოზიცია კი თვლის, რომ კოალიციით შეძლებს საკუთარი პრემიერის არჩევას.

შემდეგ უკვე საპრეზიდენტო არჩევნებია. პრეზიდენტს კი შეუმცირდა უფლებამოსილებები, მაგრამ ჩვენთან პრეზიდენტი მხოლოდ სიმბოლური დატვირთვის ვერასოდეს იქნება, ისევე, როგორც რუსეთში. ძლიერი პრემიერის რანგში მყოფმა პუტინმა ვერ შეძლო უფრო ლიბერალი პრეზიდენტ მედვედევის ბოლომდე გადაფარვა — პირველი მაინც პირველია. ამდენად, საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური ძალა პრეზიდენტადაც თავის კადრს მოინდომებს. პრეზიდენტობისთვის კი არაერთს უძგერს გული — როგორც სახელისუფლებო პარტიაში, ისე ოპოზიციაში.

ამ ახირებული ზაფხულის დღეებშიც კი, სანამ საარჩევნო კამპანია მხოლოდ არაოფიციალურადაა დაწყებული და რაღაცეები ჯერ მკვეთრად გამოხატული არ არის, ძნელი არ არის პოლიტიკური ძალების და პოლიტიკოსების შანსებზე საუბარი. თუმცა პოლიტიკას მოულოდნელობები სჩვევია — არჩევნების წინ შეიძლება ყველაფერი თავდაყირა დადგეს, ისე, როგორც 2003 წელს მოხდა.

სახელისუფლებო პარტის მონოლითურობის სიმბოლო მიხეილ სააკაშვილია. 8 წლის შემდეგაც კი ნაცების ცნობილი სახეებიც ვერ ბედავენ მისი ორბიტიდან გასვლას და დამოუკიდებელი თამაშის დაწყებას. ვინც გავიდა, ვერაფერი მოიგო, რადგან რაც უნდა აკრიტიკონ სააკაშვილი, მაინც ისაა ნაციონალური მოძრაობის თავიც, ტანიც, ფეხებიც და ხელებიც. უამრავი შეცდომის მიუხედავად, მაინც ახერხებს ფეხზე დგომას, თუმცა, „ხერხემალი“ ვანო მერაბიშვილი რომ გვარიანად ეხმარება, ამას თვიონ პრეზიდენტიც არ მალავს.

2013 წლის შემდეგ მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტი აღარ იქნება, ამიტომ, კარგა ხანია, დადის ხმები, რომ სახელისუფლებო პარტიის შიგნით უკევ დიდი ხანია, მიდის მზადება პოსტსააკაშვილისეული პერიოდისთვის.

2008 წელს მიხეილ სააკაშვილსაც და მის პარტიასაც ძალიან რომ გაუჭირდათ არჩევნების მოგება, მაშინ შემუშავებულა უკვე ვიღაცეების თავებში პარტიის გაყოფის სტრატეგია. დედაპარტიას უნდა გამოჰყოფოდნენ ახალგაზრდა, ენერგიული, შედარებით სუფთა სახეები, ახალი პარტიის თუ მოძრაობის სახით, სახელად „ახალი ნაციონალები“ და მათი თავკაცი გიგი უგულავა უნდა გამხდარიყო. სქემა ნაცნობია. ისე, როგორც ერთ დროს მოქკავშირის სახელგატეხილ ფრთას გამოეყვნენ ახალგაზრდა რეფორმატორები და მერე ხელისუფლებაში დაბრუნდნენ ახალი სახეებით და განახლებული ძველი სისხლით.

მაშინ გეგმა არ ამუშავდა. როგორც ითქვა, პარტიაში უფრო დიდმა თავებმა პარტიის გაყოფა ნაადრევად მიიჩნიეს. ამის გარდა, სააკაშვილსაც უეჭვიანია გიგი უგულავაზე, ნაადრევად ხომ არ დაიწყო ფიქრი ბიჭმა პრეზიდენტობაზეო. სხვათა შორის, მას შემდეგ სააკაშვილი და უგულავა ერთად ძალიან ცოტას თუ უნახავს, ისიც ძალიან აუცილებელ ღონისძიებებზე. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ გიგი თბილისის მერობის კანდიდატად სააკაშვილმა კი არა, პავლე კუბლაშვილმა წარადგინა, თანაც გლდანში, ხმები სააკაშვილის მიერ უგულავას ათვალისწუნებაზე სიმართლისგან შორს არ უნდა იყოს.

სახელისუფლებო პარტიაში ამჯერად ორი ფრთის სილუეტები ჩანს — ქორების და მტრედების. მტრედები უფრო ლიბერალურად მომზირალი, დასავლური აზრის მეტად ანგარიგამწევი სახეებია. მათში სახელდებიან ბოკერია, უგულავა და მათი წრე. ქორები სააკაშვილის პოლიტიკის — „მე ვარ და ჩემი ნაბადის“ — მხარდამჭერები არიან: ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი და ძალოვანთა მთელი ვარსკვლავედი, ახალიაების ჩათვლით.



ლიბერალები ფიქრობენ, რომ უკვე დროა, დემოკრატიულობის ფასადის გაუმჯობესებაზე იფიქრონ, რომ დასავლეთს როგორმე კვლავ მოაწონონ თავი. სააკაშვილი-მერაბიშვილი კვლავ ჩვეულ პოლიტიკას მისდეენ, მშვენივრად გაამართლა და რა გვრჯის რაიმეს შეცვლასო. ამ ხალხს დასავლეთი და დემოკრატია და საერთაშორისო თუ საშინაო აზრი სულ ცალ ფეხზე ჰკიდიათ.

ბოლო სერიოზული უთანხმოება ქორებსა და მტრედებს შორის ოპოზიციურ „რვიანთან“ მოლაპარაკების დროს ყოფილა, გიგა ბოკერია და ირაკლი ალასანია რომ ხვდებოდნენ ერთმანეთს, იმ პერიოდში. მაშინ ბოკერია დაჰპირებია „რვიანის“ მეთაურს, თქვენ მოითხოვეთ და ჩვენ რაღაც-რაღაცეებზე წამოვალთ, ისეთზე, რომ არც ჩევნ დავზარალდეთ ძალიან და თქვენც გამარჯვებად ჩაგეთვალოთო. თქვენ ხალხის გულს მოიგებთ, ჩვენ — დასავლეთისასო. ალასანიასგან, პიარის თვალსაზრისით, ამ ამბის გახმაურება არ ივარგებდა, ამიტომ, საქმეში ახალი მემარჯვენეები ჩაერთვნენ. ვერც დავით გამყრელიძეს აუღია თავის თავზე „ჩამგდები“ შეთანხმების გახმოვანება და პალიკო კუბლაშვილთან მამუკა კაციტაძე გაგზავნეს.

მოლაპარაკება კონფიდენციალური იყო და პრესის ყურამდე შემთხვევით მივიდა. თითქოს რაღაცეები უნდა დალაგებულიყო კიდეც, რომ სააკაშვილს უყრია ქოში უკუღმა, ერთი რომ დავთმოთ, მეორეს მოინდომებენ, მერე გამარჯვების ნაღარას დასცემენ და ეს გვინდაო?! თან მე იმ „რვიანის“ ყველა წევრთან სულაც არ ვაპირებ თათბირს, ინდივიდუალური ინდივიდუალურს ნიშნავსო.

ისევ შეიკრიბა საბჭო და ოპოზიციური კრება და, შესაბამისად, ხელისუფლების „მშვიდობის მტრედები“ მხიარულნი დარჩნენ. თუმცა, ისიც ითქვა, რომ ხელისუფლების მილიონიან წინადადებაზე რესპუბლიკელები და თავისუფალი დემოკრატებიც მიდიოდნენ, მაგრამ ნაცებმა ძალადობა რომ დაიწყეს, მაინცდამაინც დღის ბოლომდე მოაწერეთ ხელი შეთანხმებას, ამიტომ აღარ მოაწერესო.

ასე რომ, ნაციონალური მოძრაობის დუღაბსა და გამძლეობაზე მითი უკვე ირღვევა და, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, კედლებიც ნელ-ნელა ჩამოიშლება. ამ ორ ფრთაშიც არ არის დიდი სიამტკბილობა და აზრთა ერთიანობა. სამომავლოდ ყველა ცდილობს მზის ქვეშ რაც შეიძლება უკეთესი ადგილის დაკავებას. ზოგი თვითონ ფიქრობს პირველობაზე, ზოგი — სხვის გაპირველებასა და მერე მის ჩრდილქვეშ გემრიელად კოტრიალზე, მაგრამ ამაზე შემდეგ.



## გუბაზ სანიკიძე ბადრი ბიწაძის საქმეზე სასამართლოს ჩვენებას მისცემს

დღეს ბადრი ბიწაძის საქმესთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლოში, სავარაუდოდ, გუბაზ სანიკიძეს დაკითხავენ.

შესაბამისი განცხადება „მედია-ნიუსთან“ საუბარში ბიწაძის ადვოკატმა ლევან სამუშიამ გააკეთა.

პროცესი 11:30 საათზე დაიწყება, — განაცხადა მან.

შეგახსენებთ, რომ ბადრი ბიწაძე, რომლის ამჟამინდელი ადგილსამყოფელი უცნობია, საქართველოში ბოლოს გუბაზ სანიკიძემ ნახა. „ეროვნული ფორუმის“ ლიდერმა ბიწაძის 26 მაისის შემდეგ ბოლნისის რაიონის ერთ-ერთ ტყეში მანქანით ჩააკითხა და ქალაქ ბოლნისამდე ჩაიყვანა. სანიკიძეს ბიწაძემ უთხრა, რომ იგი ტყეში სამართალდამცველებმა დატოვეს.

როგორც ცნობილია, ბიწაძის საქმესთან დაკავშირებით სასამართლოს ჩვენება უკვე მისცეს „სახალხო კრების“ ლიდერებმა, მათ შორის ბრალდებულის მეუღლე ნინო ბურჯანაძემ.

ალნიშნულ საქმეზე სასამართლო განხილვები შაბათ-კვირის გარდა, ყოველდღიურად იმართება.

**მედიანიუსი**

## საგარეო საქმეთა სამინისტრო მედვედევის ქმედებას ცინიკურს უწოდებს



საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის მიერ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის გაერთიანებული სამხედრო ბაზების შესახებ ე.წ. შეთანხმებების სარატიფიკაციოდ წარდგენისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქიმიურ რადიაციულ და ბაქტერიოლოგიურ სწავლებებთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

— 8 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტმა დ.მედვედევმა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში სარატიფიკაციოდ შეიტანა ე.წ. შეთანხმებები საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის გაერთიანებული სამხედრო ბაზების შესახებ.

რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესიის სამი წლისთავის დღეებში განხორციელებული ასეთი ქმედება წარმოადგენს კიდევ ერთ ცინიკურ ნაბიჯს, რომლითაც რუსეთი დემონსტრაციულად აბუჩად იგდებს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებს, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2011 წლის 12 აგვისტოს შეთანხმებით აღებულ ვალდებულებებს და საერთაშორისო თანამეგობრობის კონსოლიდირებულ პოზიციას სუვერენული ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ძალადობრივი ცვლილებისა და ეთნიკური წმენდის მიუღებლობის, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიის სრული დეოკუპაციის აუცილებლობის შესახებ.

ელექტრონულ მას-მედიაში გავრცელებული ცნობების თანახმად, იმავე დღეს - 8 აგვისტოს, რუსეთის ფედერაციის სამხრეთის სამხედრო ოლქის, ასევე სომხეთის რესპუბლიკის და ე.წ. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკების“ ტერიტორიებზე დაიწყო ქიმიურ-რადიაციული და ბაქტერიოლოგიური დაცვის ჯარების საველე გასვლები. სწავლებები, რომელთა მიზანია ატომური აფეთქებების დაფიქსირება, ქიმიურ-რადიაციული და და ბაქტერიოლოგიური დაზვერვა, აეროზოლიზაცია, დეგაზაცია, დეზაქტივაცია და საბრძოლო ტექნიკის დეზინფიცირება, ორ ეტაპად ხორციელდება და 2 სექტემბრამდე გასტანს. სწავლებებში მონაწილეობს 600 სამხედრო მოსამსახურე და 160 ერთეული საბრძოლო ტექნიკა და შეიარაღება.

როგორც სჩანს, ის ჩიხური სიტუაცია, რომელშიც აღმოჩნდა რუსეთი საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციისა და საოკუპაციო რეჟიმების ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების შედეგად, რუსეთის ხელისუფლებას აიძულებს განახორციელოს ისეთი აბსურდული ქმედებები, როგორიცაა ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქიმიურ-რადიაციული და ბაქტერიოლოგიური სწავლებები.

თუ რუსეთს რეალურად სურს უსაფრთხო გარემოს შექმნა საკუთარ სამხრეთ საზღვრებთან, ამისათვის საუკეთესო საშუალებას ოკუპირებული ტერიტორიებიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანა, ამ ტერიტორიებზე საერთაშორისო სამშვიდობო ძალების განლაგება და რუსეთის მიერვე გაძევებული საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების მუშაობის აღდგენა წარმოადგენს, ხოლო საწყის ეტაპზე - სიტუაციის ობიექტური და მიუკერძოებელი მონიტორინგის მიზნით ოკუპირებულ ტერიტორიებზე ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის დაშვება, რომელთანაც საქართველოს ხელისუფლება და მისი ძალოვანი სტრუქტურები სრული ურთიერთგაგებისა და ტრანსპარენტულობის პირობებში თანამშრომლობენ.

საქართველო კვლავ ადასტურებს ვალდებულებას ძალის არგამოყენების თაობაზე და მზადყოფნას ითანამშრომლოს საერთაშორისო თანამეგობრობასთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარების მიზნით და მოითხოვს რუსეთის ფედერაციისაგან, თავის მხრივ, აიღოს ძალის არგამოყენების ვალდებულება, შეწყვიტოს ოკუპირებული ტერიტორიების მილიტარიზაცია, სრულად შეასრულოს ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები, მათ შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმება და განახორციელოს საქართველოს ტერიტორიის სრული დეოკუპაცია.

**მედიანიუსი**

# შეიძლება, მერსედესის ნაწილი 5 ლარი ღირდეს?!

### საიდან შემოდის საქართველოში მეორადი ნაწილები და რა საფრთხეს ქმნიან ისინი

შორენა გონგლა ე



**ინტერვიუ ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ იობაშვილთან**

***— ბატონო ვახტანგ, რამდენად ხარისხიანი საწვავი შემოდის საქართველოში?***

— საქართველოში არსებული საწვავი აბსოლუტურად ჯდება დადგენილ სტანდარტში, ყველა იმპორტირებული საწვავის შემოწმება, რა თქმა უნდა, არ ხდება. საქართველოში შემოტანილი საწვავი პასუხობს დადგენილ სტანდარტს. მე სრულად გამოვრიცხავ იმას, რომ საწვავიდან ხდება ეკოლოგიური დარღვევები. აქ არის მეორე მხარე, ჩვენ ამ საკითხს აუცილებლად დავსვამთ იმპორტიორებისა და საზოგადოების წინაშე. მე დავსვამ რამდენიმე ძალიან სერიოზულ კითხვას — სად მიდის გამოცვლილი საავტომობილო ზეთები? ჩვენ ვიცით, რომ გამოცვლილი ზეთი არის საშინელი ტოქსიკური ნივთიერება, ჩვენ გვაინტერესებს, სად მიდის გამოცვლილი ზეთი, დამეთანხმებით იმაში, რომ აღნიშნული ნივთიერების ბუნებაში გადაღვრა არ შეიძლება და არც ერთი ნორმალური ადამიანი ამას არ გააკეთებს, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც იმ მეორად ზეთში შოულობენ ფულს, მასში ურევენ სხვადასხვა ნივთიერებას და იყიდება როგორც საწვავი და ასეთიი მკაცრი კონტროლის პირობეში, მაინც ბედავენ და აკეთებენ ასეთ რამეს.

***— კონკრეტული ფაქტები თუ გაქვთ?***

— არსებობს ძალიან ბევრი სიგნალი, ამ პრობლემას ასევე ემატება მეორადი საბურავების დამუშავება, რომელსაც ჭრიან, ამუშავებენ ქიმიკატებში, მიმდინარეობს აღნიშნული რეზინის საბურავების დაშლა, შემდეგ მაღალ ტემპერატურაზე ხდება ამ მასის გადახარშვა და იღებენ რაღაც ნივთიერებას, რომელსაც უწოდებენ საწვავს, რომელიც არის საშინელი ტოქსიკური ნივთიერება, რომელიც არ შეიძლება გამოყენებულ იქნას.

***— რეალიზაცია სად ხდება, ვინ მოიხმარს ამ საწვავს?***

— ვინ მოიხმარს და ვინც ეძებს იაფ პროდუქტს და ძალიან არ ჯავრობს იმაზე, რომ მას გაუფუჭდება ის ტექნიკა, რადგანაც ის ტექნიკა მას აქვს ნაქირავები და მისი ხელმძღვანელი არ არის საქმის კურში. ასე რომ, ამის სარეალიზაციო ბაზაც გაჩნდა. ჩვენ მზად ვართ, დაინტერესებულ სამართალდამცავ სამსახურებს ვესაუბროთ, ვინაიდან ეს არის ეკოლოგიის პირველი მტერი.

***— ამ ყელაფერზე კონტროლი ვინ უნდა განახორციელოს?***

— არალეგალური საქმიანობა ქვეყანაში არის სამართალდარღვევა. არალეგალური წარმოება არის დამალული გადასახადები, არის ხარისხის არქონა და ამის გამოძიება საგადასახადო და საგამოძიებო სამსახურების პრეროგატივაა, ვნახოთ, იქნებ გაუჩნდეთ სურვილი და ამ თემაზე დავიწყოთ სერიოზული მუშაობა. რაც შეეხება ეკოლოგიურ პრობლემებს, მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ მარტო საავტომობილო საწვავი უნდა ვაკრიტიკოთ, მარტო მის ფასზე ვილაპარაკოთ, მაგრამ დრომ აჩვენა, რომ ეს არის არასწორი მიდგომა, არანაირი ტყვია საქართველოში შემოსულ საწვავში არ არსებობს, დამთავრდა ამაზე საუბარი, მაგრამ მე მოვუწოდებ ეკოლოგიურ საკითხებზე მომუშავე ადამიანებს, რომ კარგად დააკვირდნენ, ყველა სახლის სარკმელში არის გამოყოფილი ე.წ. „ტრუბა“ და „ცეო“ მოდის ყველა ფანჯრიდან. ანუ არც ერთ სახლს საქართველოში ცენტრალური გათბობა არ გააჩნია, ყველას აქვს ინდივიდუალური გათბობა, ყველა ფანჯრიდან იწამლება გარემო. ახლა მითხარით, საიდან უფრო მეტად ბინძურდება გარემო? თუკი ქალაქის მერია დასვამს ამ საკითხს ყველა სამშენებლო კომპანიის წინაშე, ძალიან კარგი იქნება, ვინაიდან საზოგადოებაც და ეკოლოგიაც იქნება დაცული.

***— ამ საკითხებზე თუ მიმართეთ კომპეტენტურ ორგანოებს?***

— ჩვენ ამ საკითხებზე ძალიან ხშირად და გახსნილად ვსაუბრობთ, არასოდეს დაგვიმალავს არც ჩვენი და არც სხვისი ნაკლი, ჩვენ ვლაპარაკობთ ყოველთვის სიმართლეს, სამწუხაროდ, ამ საკითხთან დაკავშირებით, ეკოლოგიისა და ბუნების დაცვის სამინისტროდან გამოხმაურება არ მიგვიღია.

***— კიდევ რა საფრთხის შემცველია მეორადი საბურავები?***

— საქონელი მეორადი იმიტომ არის, რომ მისმა პირველმა მფლობელმა ჩათვალა, რომ ის არის უვარგისი და, მისი ქვეყნის კანონმდებლობიდან გამომდინარე, მას აღარ შეეძლო მისი გამოყენება, ამიტომ ეს პროდუქტი გახდა მეორადი. ჩვენი ე.წ. ბიზნესმენების წყალობით კი ეს გამოუსადეგარი პროდუქცია მოხვდა საქართველოში და იქიდან კიდევ მადლობა უთხრეს ამისთვის, რომ ნაგავი მოაშორეს მათ ქვეყანას. მაგრამ არის კიდევ ერთი საკითხი, სად ხდება ამ ნაგვის უტილიზაცია, ხომ არ შეიძლება ეს ყველაფერი უსასრულოდ გაგრძელდეს, საბურავი ბუნებაში არ იხრწნება, ამიტომ ჩვენ მივიღებთ უზარმაზარ ეკოლოგიურ ზარალს. მე მაინტერესებს, რა მექანიზმები არსებობს, ვინაიდან შემოტანას სჭირდება ნებართვა და მე ამ საკითხზე ძალიან მაინტერესებს ეკოლოგიის სამინისტროს პოზიცია. რაც შეეხება მანქანის სათადარიგო ნაწილებს, შემოტანილი ნაწილების 70 პროცენტი არ შეესაბამება მის ორიგინალ ნაწილებს, აქედან გამომდინარე, ჩვენ გვაქვს ასეთი ინფორმაცია, რომ მათი უდიდესი ნაწილი არის გაყალბებული და მესამე ქვეყნებიდან შემოტანილი, ზოგიერთი აქვე, თბილისში მზადდება, მაგალითად, რეზინის სათადარიგო ნაწილები მზადდება თბილისში.

***— პასუხობს თუ არა ეს სათადარიგო ნაწილები იმ უსაფრთხოების ნორმებს, რომლებიც უნდა ჰქონდეს ავტომობილს?***

— ხუნდების იმედი აქვს მძღოლსაც და მგზავრსაც და ამ დროს ისინი არ პასუხობს ელემენტარულ უსაფრთხოების ზომებს. ხუნდებში აზბესტის მონაწილეობა მთელმა მსოფლიომ ამოიღო, ჩვენთან ჯერ კიდევ სავსეა ბაზარი ამ საწამლავით, მისი მტვერი იმავე მანქანის მძღოლს უქმნის პირველ რიგში პრობლემას. რატომ, იმის გამო, რომ ვილაცამ უფრო იაფი გადაიხადოს და ამისთვის ხალხი იწამლებოდეს?

***— რომელი ქვეყნებიდან შემოდის ფალსიფიცირებული ნაწილები?***

— ბაზარზე არის შემოსული ინდური ნაწილები, თურქული, თუმცა თურქეთში ეს ინდუსტრია შედარებით განვითარებულია, მაგრამ საქართველოს რელიეფიდან გამომდინარე, ამ ნაწილების გამოყენება დაუშვებელია. მე ვერავინ დამაჯერებს იმას, რომ მერსედესის ნაწილი უნდა ღირდეს 5 ლარი.

***— ამ პრობლემებიდან გამოსავალს რაში ხედავთ?***

— უნდა შეიქმნას პროფესიონალი ექსპერტების მონაწილეობით კომისია და არ მოხდეს ფალსიფიცირებული სათადარიგო ნაწილების შემოტანა, ჩვენ გვაქვს ლაბორატორიები იმისთვის, რომ საქართველოში შემოტანილ ნაწილებს ჩავუტაროთ ლაბორატორიული კვლევა და ვუთხრათ საზოგადოებას, ვარგა ესა თუ ის ნაწილი თუ არ ვარგა და ხუნდებს რაც შეეხება, ეს ვერანაირ სტანდარტში ვერ ჩაჯდება.

# დავით ბაქრაძე ქალებს უფრო მოსწონთ

### შეხვედრა ფეისბუქის მეგობრებთან

ნანა მიშელაშვილი

დავით ბაქრაძესთან შესახვედრად ქალებმა იაქტიურეს. პარლამენტის თავმჯდომარემ გუშინ, 9 აგვისტოს, ფეისბუქის მეგობრებისთვის მოიცალა.

შეხვედრა პარლამენტში ბაქრაძის კაბინეტში შედგა. რაზე ისაუბრეს ბაქრაძის მეგობრებმა პარლამენტის თავმჯდომარესთან, ეს ჟურნალისტებისთვის უცნობია, რადგან შეხვედრა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა.

პარლამენტის თავმჯდომარის შეფასებით, ფეისბუქი არის პირდაპირი გზა, მოისმინოს ხელისუფლებამ მოსახლეობის აზრი და მუდმივად მიიღოს ინფორმაცია. ბაქრაძის თქმით, ნებისმიერი ხელისუფლების ვალდებულებაა, რომ მოსახლეობასთან უშუალო კონტაქტი და კომუნიკაცია ჰქონდეს და მიიღოს პირდაპირი ინფორმაცია, თუ რა აღელვებს, რა აწუხებს და უხარია საზოგადოებას.

— ამ თვალსაზრისით ინტერნეტი და სოციალური ქსელები სულ უფრო მეტ როლს ასრულებს. ძალიან ბევრი ადამიანია კონკრეტულად ფეისბუქის ქსელში რეგისტრირებული. ეს არის პირდაპირი გზა, მოვისმინოთ მოსახლეობის აზრი, ვიყოთ მუდმივ კონტაქტში ხალხთან და მათაც მიიღონ ინფორმაცია, რაც აინტერესებთ. ეს აქცია არის წახალისება პირდაპირი კომუნიკაციისა ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის“ — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ შეხვედრის შემდეგ.



ბაქრაძეს ფეისბუქში 12.600-ზე მეტი ადამიანი ჰყავს დამეგობრებული, დღეს მათგან 20 ყველაზე აქტიური პირი შეირჩა. მათგან ქალები სჭარბობდნენ. ფეისბუქის ქსელში ბაქრაძის ვირტუალურ მეგობრებს შორის ყველაზე აქტიურები და კეთილგანწყობილებიც ახალგაზრდა ქალები ყოფილან. შესაბამისად, პარლამენტში მოწვეულთა შორის გენდერული ბალანსი სწორედ ქალთა სასარგებლოდ იყო დარღვეული.

რატომ არიან კეთილგანწყობილი ახალგაზრდა ქალები პარლამენტის თავმჯდომარის მიმართ ფეისბუქზე? ჟურნალისტის მიერ დასმულ ამ შეკითხვაზე ბაქრაძემ ხუმრობით უპასუხა, რომ ქალების სიჭარბე, მხოლოდ იმას მიანიშნებს, რომ ისინი სოციალურ ქსელებში უფრო მეტად აქტიურობენ.

— შერჩევა მოხდა აბსოლუტურად შერჩევითი წესით. ქალების უმრავლესობით მოწვევა არანაირად წინასწარ განზრახული არ ყოფილა, თუმცა, როგორც ჩანს, ისინი სოციალურ ქსელებში უფრო მეტად აქტიურობენ — გენდერული ბალანსი აშკარად დარღვეულია და მამაკაცებს მეტი აქტიურობისაკენ მოვუწოდებ, — აღნიშნა ბაქრაძემ და დასძინა, რომ ვირტუალურ მეგობრებს ყოველთვის თავად პასუხობს.

ბაქრაძის ფანებმა გუშინ პარლამენტის შენობაც დაათვალიერეს. მსგავსი შეხვედრები დავით ბაქრაძესთან კიდევ გაგრძელდება.

შედით საიტზე atb.ge

# ქართველი კინემატოგრაფისტები სარაევოში ჩავიდნენ

ეკა ირემაშვილი



თამარ ტატიშვილი

ქართველი კინემატოგრაფისტები წელს პირველად მოხვდნენ სარაევოს რიგით მე-17 საერთაშორისო კინოფესტივალზე. ეროვნული კინოცენტრი პირველად ოფიციალურად იქნა წარმოდგენილი ბოსნია ჰერცეგოვინაში ჩატარებულ სარაევოს მე-17 კინოფესტივალზე. სპეციალურ სტუმრებს შორის იყვნენ ეროვნული კინოცენტრის დირექტორი თამარ ტატიშვილი, კინოექსპორტის და დისტრიბუციის მენეჯერი ქეთი დანელია და ახალგაზრდა ქართველი კინემატოგრაფისტები. კინოფესტივალი დაინტერესდა თანამედროვე ქართული კინოპროცესებით და განიხილა საქართველოს უფლებამოსილი ქვეყნების სიაში ჩასმა.

წლევანდელ ვიზიტს გაცნობითი ხასიათი ჰქონდა. ვიზიტის შემდეგ საქართველო გახდება უფლებამოსილი ქვეყანა — 2012 წლიდან ქართველ კინო პროფესიონალებს ფესტივალის სხვადასხვა სექციებში განაცხადების გაგზავნის უფლება ექნებათ.

ქართული დელეგაცია ბოსნია ჰერცეგოვინაში 25 ივლისს გაემგზავრა. ქართული კინოსექტორის წარმომადგენლებმა სარაევოს კინოფესტივალზე ინდუსტრიული შეხვედრები გამართეს და უცხოელ კოლეგებს გააცნეს მომავალი ქართული კინოპროექტები. სხვადასხვა სექციის სტუმრებს შორის იყვნენ ქეთევან მაჭავარიანი, კახაბერ მაჭარაშვილი, ნანა ექვთიმიშვილი, ქეთი დანელია, ლევან კოღუაშვილი, ნოშრე ჩხაიძე, ნათია ნიკოლაშვილი, ნათია გულიაშვილი, სოფიო მიქიაშვილი და ირაკლი მეტრეველი.

— სარაევოს კინოფესტივალი ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული პლატფორმაა, რომელიც რეგიონის კინო პრომოუშენით არის დაკავებული და ასევე გამოირჩევა უცხოური ფილმების და საერთაშორისო სტუმრების სიმრავლით. სარაევოს საერთაშორისო კინოფესტივალი მეტად ჰუმანური კინოფესტივალია. ქართული კინოს წარმომადგენლებს მოგვეცა შანსი, ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე კინოინდუსტრიის პროცესები და სიახლეები იქაური სტუმრებისა და მასპინძლებისთვის გაგვეცნო. ისინი აქტიურად არიან დაინტერესებული საქართველოში მიმდინარე კინოპროცესებით. ეს კი იმის ნიშანია, რომ მომავალ წელს ჩვენ უკვე მათი კინოფესტივალის სრულყოფილდი წევრები გავხდებით, — განაცხადა ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელმა თამარ ტატიშვილმა.

ბოსნია-ჰერცეგოვინაში დაგეგმილ რიგით მე-17 სარაევოს საერთაშორისო კინოთესტივალზე ყოველწლიურად მრავლად არის წარმოდგენილი ამერიკული და ევროპული კინო და კინოვარსკვლავები. წელს ამ კინოფესტივალის საპატიო სტუმრი ჰოლივუდის მშვენება ანჯელინა ჯოლი იყო.

10-დღიან საერთაშორისო კინოფესტივალზე ვიზიტს ქართველი კინემატოგრაფისტები საკმაოდ დადებითად აფასებენ და აცხადებენ, რომ მომავალი წლიდან ქართული კინო კიედვ ერთ საერთაშორისო კინოფესტივალზე ჩავა და თავის სიტყვას აუცილებლად იტყვის, რაც კინოფესტივალის ხელმძღვანელებს და სტუმრებს შეუმჩნეველი არ დარჩებათ.

სარაევის საერთაშორისო კინოფესტივალზე გამგზავრებამდე კი ქართველი კინემატოგრაფისტები კინოთეატრ „რუსთაველში" შეიკრიბნენ, სადაც ახალგაზრდა რეჟისორმა თორნიკე ბზიავამ თავისი ახალი ფილმის „ბუდეს" დახურული ჩვენება მოაწყო. მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ბუდე" რეჟისორმა ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით გადაიღო. სახელმწიფო სუბსიდიამ შეადგინა 29.000 ლარი. ფილმის სრული ბიუჯეტი კი 70.000 ლარია. თორნიკე ბზიავამ ფილმი მამას კოკა ბზიავას მიუძღვნა, რომელიც ფილმში მთავარ როლს ასრულებს.

— ეს ფილმი ფრანგ პროდუსერებთან ერთად შევქმენი. გადაღებები 10 დღეში დასრულდა. ამ ფილმით მინდა ყველას ვუთხრა, რომ დავაფასოთ ჩვენი მშობლები, ის ადამიანები, რომლებმაც სხვა თუ არაფერი, სიცოცხლე გვაჩუქეს. მამა ჩემთვის ყველაფერია, მასთან ეთრად გავიზარდე და ვმეგობრობ კიდეც, — აცხადებს ფილმის რეჟისორი.

ქართველ რეჟისორებსა და პროდიუსერებს თავისი შესაძლებლობების წარმოჩენის შესაძლებლობას აძლევს ანტალიის საერთაშორისო კინოფესტივალი „ოქროს ფორთოხალი".

— ფესტივალის საერთაშორისო კონკურსის ფოკუსშია აზიის, ევროპის და შუა აზიის ქვეყნების კინოზე. კონკურსის ბოლო ვადა 19 აგვისტოა. პროდიუსერები ინფორმირებული იქნებიან 12 სექტემბრამდე, ფილმების ვადა კი 23 სექტემბერს იწურება, — ნათქვამია ეროვნული კინოცენტრის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ანტალიის 48-ე კინოფესტივალი თურქეთში 8-დან 14 ოქტომბრის ჩათვლით ჩატარდება. ფესტივალის ორგანიზატორი ანტალიის კულტურისა და ხელოვნების ფონდი და ანტალიის მუნიციპალიტეტია.

# ოპერის თეატრი საიუბილეო სეზონს სექტემბერში გახსნის

ეკა ირემაშვილი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისი ოპერისა და ბალეტის თეატრი რიგით 160-ე საიუბილეო სეზონს 21 სექტემბერს გახსნის. საიუბილეო თეატრალური სეზონის გახსნაზე წარმოდგენილი იქნება ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი", რომელიც ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში აჟღერდება.

ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი" ოთხ მოქმედებიანია. ლიბრეტოს ავტორი პეტრე მირიანაშვილია. ოპერის პრემიერა თბილისში 1919 წლის 21 თებერვალს შედგა. საიუბილეო თეატრალური სეზონის გახსნაზე კი 1986 წლის დადგმა იქნება წარმოდგენილი, რომლის დირიჟორი ჯანსუღ კახიძეა, რეჟისორი — მიხეილ თუმანიშვილი, მხატვარი — გიორგი ალექსი-მესხიშვილი, ქორეოგრაფი — თენგიზ სუხიშვილი).

ზაქარია ფალიაშვილმა თავისი შემოქმედების ცენტრალურ ოპერაზე „აბესალომ და ეთერზე" მუშაობა 1910 წელს დაიწყო. ხალხური თქმულების „ეთერიანის" სიუჟეტზე ნაწარმოების შექმნის იდეა კომპოზიტორს ცნობილმა პედაგოგმა და ლიტერატორმა პეტრე მირიანაშვილმა მიაწოდა, რომელსაც დიდი დამსახურება მიუძღვის „აბესალომ და ეთერის" შექმნაში. მან არა მარტო შეადგინა ლიბრეტოს ტექსტი, არამედ მხარში ედგა კომპოზიტორს იმ წლების მანძილზე, როდესაც იგი ამ ოპერაზე მუშაობდა. ოპერის ლიბრეტო ხალხური თქმულების მთლიანი სახით წარმოდგენის საინტერესო ცდაა. პირველად იგი ჟურნალ „ფასკუნჯში" დაიბეჭდა. პეტრე მირიანაშვილმა ხალხური თქმულების ტექსტის გარდა ლიბრეტოში გამოიყენა ვაჟა-ფშაველას პოემის ცალკეული სტროფები, ხალხური, „ვეფხისტყაოსნისა" და ილია ჭავჭავაძის ლექსის ფრაგმენტები. ოპერის მეორე მოქმედების ტექსტის ნაწილი ალექსანდრე წუწუნავას ეკუთვნის, ხოლო ოპერის ერთ-ერთი გმირის მარიხის კანცონეტის ტექსტი თავად პეტრე მირიანაშვილის დაწერილია.

„აბესალომ და ეთერის" მესამე მოქმედება ფილარმონიული საზოგადოების ინიციატივით დაიდგა ქართულ თეატრში, საბოლოო სახით კი ის 1918 წელს დასრულდა. ოპერის პირველი წარმოდგენა თავად კომპოზიტორის დირიჟორობით გაიმართა. ოპერის მოსმენით მიღებული შთაბეჭდილება იმდენად დიდი იყო, რომ კომპოზიტორს უკვე მეორე მოქმედების შემდეგ დიდი ოვაციები გაუმართეს. ეს პერიოდი განსაკუთრებული აღმავლობით გამოირჩეოდა ქართული მუსიკის ისტორიაში, რადგან იმავე სეზონში კიდევ ორი ქართული ოპერა დაიდგა.

„აბესალომ და ეთერის" პირველი ვარიანტი 5 მოქმედებისა და 6 სურათისგან შედგებოდა, რის გამოც კომპოზიტორმა კრიტიკული შენიშვნაც დაიმსახურა. ზაქარია ფალიაშვილმა გაითვალისწინა შენიშვნები და ოპერა ერთი მოქმედებით შემოკლდა. საბოლოოდ ოპერამ „აბესალომ და ეთერი" ქართველი საზოგადოების უზარმაზარი მხარდაჭერა ჰპოვა.

თავად კომპოზიტორს ოპერაზე მუშაობისას არაერთხელ უთქვამს: „მე პრეტენზიები არა მაქვს, რათა ჩემზე თქვან ოპერა დაწერაო. ჩემი მუშაობის აზრია — მე ვიძლევი მასალას, ვკრებ და ვაყალიბებ მას, გამოვიტან საზოგადოებაში, შემდეგ, ალბათ გამოჩნდება ვინმე უფრო ნიჭიერი და ოპერას დაწერს.

ზაქარია ფალიაშვილი საკუთარ დამსახურებად ოპერაში უფრო ეროვნული და ევროპული მუსიკის თავისებურებების სინთეზს მიიჩნევდა. „აბესალომ და ეთერის" ოპერასთან დაკავშირებით კომპოზიტორი წერდა — „მე ის მიყვარს და ვეტრფი არა მარტო ისე, როგორც ჩემს პირმშოს, არამედ როგორც საუკეთესო ნიმუშს ქართული ხალხური სიმღერებისას ევროპული თეორიის კანონებზედ დამყარებულს".

— ოპერის საერთო კონცეფციაში ძირითადი თემა — სიყვარული წარმოსახულია როგორც დიადი, უძლეველი ძალა, რომელიც გადალახავს არა მარტო სოციალურ უთანასწორობას, არამედ თვით სიკვდილსაც. სიყვარულისა და სიკვდილის ამაღლებული პოემა ფალიაშვილმა მუსიკალური ტრაგედიის მონუმენტურ ფორმებში გადაწყვიტა, ამიტომაც არის ის უნიკალური და გენიალური. ჩვენი თეატრის ტრადიციას არასოდეს დაარღვევს. წელსაც ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თეატრი მისივე ოპერით გაიხსნება. იმედი გვაქვს, ჩვენი თეატრის საიუბილეო თეატრალური სეზონის გახსნაზე მოსული მსმენელი კიდევ ერთხელ ისიამოვნებს ფალიაშვილის ამ უკდავი ნაწარმოებით, — განაცხადა ოპერისა და ბალეტის თეატრის წარმომადგენელმა ზურაბ ოიკაშ-



# ხელნაწერთა ცენტრმა საზაფხულო სკოლა გახსნა

ეკა ირემაშვილი

ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა საზაფხულო სკოლა სახელწოდებით „ქართული დამწერლობა" გახსნა. ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლა განკუთვნილია ქართული კულტურით და განსაკუთრებით, ქართული დამწერლობით და ხელნაწერი მემკვიდრეობით დაინტერესებულ უცხოელთათვის.

საზაფხულო სკოლის სასწავლო გეგმა მოიცავს აკადემიურ და კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამებს. აკადემიური პროგრამა ითვალისწინებს სალექციო კურსებს, პრაქტიკულ სამუშაოებსა და დავალებებს, ვორქშოპს ექვსი სასწავლო მოდულის მიხედვით. კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს თემასთან დაკავშირებულ ორ გამოფენას და რვა ექსკურსიას.

სკოლის სამუშაო ენა არის ინგლისური. ლექციებს ჩაატარებენ ქართველოლოგიის სფეროში ცნობილი მეცნიერები ინგლისურად ან ინგლისური სინქრონული თარგმანით. სასკოლო პროგრამის განხორციელებისას მსმენელებთან მუდმივ კონტაქტში იქნება ორი პედაგოგი.

ლექციები ძირითადად ჩატარდება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ასევე თემატიკიდან გამომდინარე ექსკურსიების ფარგლებში სხვადასხვა სამუზეუმო და საბიბლიოთეკო სივრცეში. დღის განრიგი შეიცვლება სრული საექსკურსიო დღის შემთხვევაში.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი".

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შეძლებთ გაუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გახდეთ ღირსეული წინაპარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით (შეიძლება ნაწილ-ნაწილად). 1 კვ.მ.-ის ფასი 2 დოლარი. ტელ: 8790 53-02-41; 253-15-87.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● იყიდება 2-სართულიანი კერძო სახლი მეტრო „ვარკეთილთან" (50 მეტრში). ტელ.: 273-35-63; 593 93 40 36 ლიკა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 2-4 სმ, 25 წლამდე, მცენარეული მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით პლუს ვარჯიშებით, ზრდის ზონების გააქტიურება, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე უნებლიე შარდვა, როგორც ბავშვებში, ასევე მოზრდილებში. მკურნალობა გარანტიით. ტელ: 234-02-38; 599-96-44-94 ექიმი, ქ-ნი სალომე.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

## მოლდოველები გვიფრთხიან — ქართველებს პროვოკაცია ეხერხებათ

დღესვე ამხანაგურ მატჩს გამართავს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებიც, რომლის მეტოქე მოლდოველი თანატოლები არიან.

მეტოქე გუნდის მწვრთნელი, სერგეი კირილოვი მატჩის წინ, ცოტა არ იყოს შეურაცხმყოფელ ფრაზებს აკეთებს.

— ქართველ ფეხბურთელებზე მხოლოდ ის ვიცით, რომ ტექნიკურებთან ერთად ტემპერამენტიანებიც არიან. ამიტომ ჩემს ფეხბურთელებს მოვუწოდებ, რომ არ უპასუხონ მათ არასპორტულ საქციელსა და პროვოკაციულ გამოხდომებს, თუკი ასეთი რამ იქნება. ჩემმა გუნდმა უნდა ითამაშოს ვაჟკაცურად, მაგრამ ფეარ პლეის წესების დაცვით. მთლიანობაში კი ვფიქრობ, რომ თამაში საინტერესო და სანახაობრივი იქნება.

არადა, თუ ორიოდე კვირის წინ ასევე მოლდოვური „დაჩიასა“ და „ზესტაფონის“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩატარებულ მატჩს გავიხსენებთ, კარგად გამოჩნდა, თუ ვინ და რა გზით ახერხებდა პროვოკაციის წამოწყებას და რა სიტყვებით საუბრობდა დაჩიელთა მწვრთნელი იგორ დობროვოლსკი.

რაც შეეხება ახალგაზრდულ ნაკრებს, გუნდს მოლდოვაში ვერ დაეხმარება ყაზანის „რუბინის“ ახალგაზრდა ქართველი მცველი საბა კვერკველია. ოთარ გაბელიამ ის კლუბის თხოვნის საფუძველზე გაათავისუფლა. ასევე ტრავმა მიიღო და გაბელიამ გადაწყვიტა დასვენების საშუალება მიეცა ლევამ მჭედლიძისთვის, რომელიც იტალიური „ემპოლის“ წევრია.

საბოლოოდ, გაბელიას განკარგულებაში შემდეგი ფეხბურთელები არიან, რომელთაგან განაცხადში შესაყვანად 18 უნდა შეირჩეს:

**მეკარეები:** თორნიკე ზარქუა (სპარტაკი), დავით ლეგაშვილი (სასკო);

**მცველები:** ნიკოლოზ აფაქიძე (ბაია), ნიკოლოზ ჯიშკარიანი, ლაშა კალანდაძე (ორივე გაგრა);

**ნახევარმცველები:** თორნიკე თარხნიშვილი, გივი იოსელიანი (ორივე ტორპედო), თორნიკე ოქრიაშვილი (ილიჩევეცი, უკრაინა), ნიკა ძალამიძე (ვიძევი, პოლონეთი), ნიკა კვეკვესკირი, ჯამბულ ჯიღაური (ორივე დინამო), ზაქარია ბეგლარიშვილი (ფლორა, ესტონეთი), ვალერი ყაზაიშვილი (ვიტესი, ჰოლანდია), ირაკლი ხუციძე (გაგრა), ლუკა გუგუჩია, ზვიად სიხარულია (ორივე ბაია), დავით კაკულია (ოლიმპია, მოლდოვა);

**თავდამსხმელები:** გიორგი ჭანტურია (ვიტესი, ჰოლანდია), ირაკლი შეყილაძე (ემპოლი, იტალია), ირაკლი ქობალია (ბაია).

აღსანიშნავია, რომ მატჩზე დასასწრები ბილეთი 20 ლეი ღირს, რაც 3 ლარიც არ გამოდის და ამის მიუხედავად, მოლდოველი გულშემატკივრები უკმაყოფილო არიან.

## ქეცბაიას ნაკრები პოლონეთში პრობლემებით ითამაშებს



დღეს საქართველოს ნაკრები ამხანაგურ მატჩს გამართავს პოლონეთის ეროვნულ გუნდთან. შეხვედრას პოლონეთის პროვინციული ქალაქი ლიუბლინი უმასპინძლებს და სტადიონ „დიალოგ არენაზე“ გაიმართება.

ლიუბლინი საკმაოდ ძველი და პატარა ქალაქია. მოსახლეობის რაოდენობა 77.000 კაცს შეადგენს. „დიალოგ არენა“ კი, ახლად რეკონსტრუირებული სტადიონია. მისი მშენებლობა 2010 წელს დასრულდა. სტადიონი 16.300 მაყურებელზეა გათვლილი.

როგორც უკვე ვწერდით, საქართველოს ნაკრების მწვრთნელ თემურ ქეცბაიას თავდაპირველად გამოძახებულ შემადგენლობაში რამდენიმე კორექტირების შეტანა მოუხდა. გუნდს სავიზო პრობლემების გამო ვერ დაეხმარებიან მახაჩყალის „ანჟის“ მეკარე რევიშვილი და მოსკოვის „სპარტაკის“ ნახევარმცველი ჯანო ანანიძე. 12 აგვისტოს გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში თამაში აქვს „კარლსრუეს“ და კლუბის თხოვნით ვერც ალექსანდრე იაშვილი ითამაშებს, ასევე სავიზო პრობლემა აქვს რუსთავის მეტალურგის ნახევარმცველ ირაკლი მაისურაძეს. მათ ნაცვლად თემურ ქეცბაიამ ნაკრებში ზესტაფონელი ფეხბურთელები, მეკარე ზურაბ მამალაძე, მცველი კახა ალადაშვილი და ნახევარმცველი შოთა გრიგალაშვილი მიიწვია.

ქეცბაიამ უკვე მოასწრო ორი ვარჯიშის გამართვა — ჯვაროსნებმა ჯერ ლეგნიცას სტადიონზე ივარჯიშეს, გუშინ კი „დიალოგ არენას“ საფარიც დააჭაშნიკეს.

პოლონეთთან მატჩისთვის ქეცბაიას განკარგულებაში არიან:

**მეკარეები:** გიორგი ლორია (დინამო), ზურაბ მამალაძე (ზესტაფონი);

**მცველები:** კახა კალაძე (ჯენოა, იტალია), უჩა ლობჟანიძე (კრივბასი, უკრაინა), აკაკი ხუბუტია (გაზ მეთანი, რუმინეთი), ალექსანდრე ამისულაშვილი (კრასნოდარი, რუსეთი), გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), გია გრიგალავა (ვოლგა, რუსეთი), კახა ალადაშვილი (ზესტაფონი);

**ნახევარმცველები:** მურთაზ დაუშვილი (ზესტაფონი), ჯაბა კანკავა (კრივბასი, უკრაინა), ლევან კობიაშვილი (ჰერტა, გერმანია), დავით კვირკველია (პანიონიოსი, საბერძნეთი), ალექსანდრე გურული (კარპატი, უკრაინა), შოთა გრიგალაშვილი (ზესტაფონი);

**თავდამსხმელები:** ალექსანდრე იაშვილი (კარლსრუე, გერმანია), დავით თარგამაძე (ოლექსანდრია, უკრაინა), ვლადიმერ დვალიშვილი (მაქაბი, ისრაელი), მათე ვაწაძე (ვოლგა, რუსეთი), ოთარ მარცვალაძე (კრასნოდარი, რუსეთი).

პოლონეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ფრანტიშეკ ჟმუდაც სერიოზულად ემზადება ამ მატჩისთვის. საქართველოს ეროვნულ გუნდთან ამხანაგური მატჩის წინ ჟმუდასაც მოუწია სამი იძულებითი ცვლილება განახორციელება.

პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდის ცნობით, მომავალ მატჩში ნაკრებს ვერ დაეხმარებიან ლუკაშ პიშჩაკი („დორტმუნდი“, გერმანია), მაცეი სადლოკა („პოლონია“) და მიხალ კუხარჩიკი („ლეგია“).

მათ ნაცვლად, მუდამ ნაკრებში იაკუბ რჟეჟნიჩაკი, მაცეი რუბუსს (ორივე ლეგია), და ჰუბერტ ვოლაკევიჩს (ლეხი) უხმო.

პოლონელთა ნაკრების მწვრთნელის განკარგულებაში კი ამჟამად შემდეგი ფეხბურთელები არიან:

**მეკარეები:** ვოიცეხ შჩესნი (არსენალი, ინგლისი), გჟეგოჟ სანდომიერსკი (იაგელონია);

**მცველები:** მაცეი სადლოკი, ტომაშ იოდლოვიცი (ორივე პოლონია), არკადიუშ გლოვაცკი (ტრაბზონსპორი, თურქეთი), გჟეგოჟ ვოიტკოვიაკი (ლეხი), იაკუბ რჟეჟნიჩაკი, იაკუბ ვავრინიაკი (ორივე ლეგია);

**ნახევარმცველები:** ადამ მატიშეკი, სლავომირ პეშკო (ორივე კიოლნი, გერმანია), დარიუშ დუდკა (ოსერი, საფრანგეთი), ლუდოვიკ ობრანიაკი (ლილი, საფრანგეთი), ეუგენ პოლანსკი (მაინცი, გერმანია), იაკუბ ბლაშიკოვსკი (დორტმუნდი, გერმანია), ადრიან მეირჟეჩევსკი (ტრაბზონსპორი, თურქეთი), რაფალ მურავსკი (ლეხი), შიმონ პავლოვსკი (ზაგლებიე),მაცეი რუბუსს (ორივე ლეგია);

**თავდამსხმელები:** რობერტ ლევანდოვსკი (დორტმუნდი, გერმანია), პაველ ბროჟეკი (ტრაბზონსპორი, თურქეთი), ჰუბერტ ვოლაკევიჩს (ლეხი).

მატჩს პოლონეთისა და საქართველოს ეროვნული გუნდების მონაწილეობით, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი პირდაპირ ეთერში, თბილისის დროით 22:30 წუთზე შემოგვთავაზებს.

## ეტოოს ხელფასი „ანჟიში“ წელიწადში 20 მილიონი ევრო იქნება



კამერუნის ნაკრებისა და მილანის "ინტერის" თავდამსხმელი სამუელ ეტოო შესაძლოა "ანჟიში" უახლოეს 48 საათში გადავიდეს.

დღეს რუსული კლუბის ხელმძღვანელები მილანში ჩასვლას და იტალიელებთან მოლაპარაკების დაწყებას აპირებენ. ფეხბურთელის ტრანსფერის ფასი 30 მილიონ ევროს წარმოადგენს, ხოლო კამერუნელის ხელფასი ახალ კლუბში გადასვლის შემთხვევაში წელიწადში 20 მილიონი ევრო იქნება.

შეგახსენებთ, რომ "ანჟის" ადრეც უნდოდა ეტოოს შეძენა, თუმცა თავდამსხმელმა მახაჩყალელებს უარი უთხრა.

ეტოოს გარდა მახაჩყლელები კიდევ რამდენიმე ტრანსფერს ამზადებენ. პსვ-დან დჟუდჟაკის გადაბირების შემდეგ დაღესტნური კლუბის ხელმძღვანელობამ უკვე გადაიბირა ლონდონის „ჩელსის“ მარჯვენაფლანგელი იური ჟირკოვი, ხოლო გეგმაში ანდრეი არშავინის, ანატოლი ტიმოშჩუკის, პაველ პოგრებნიაკისა და ლაზოვიჩის გადაბირების მცდელობაც არის.

## „ბარსელონა“ სრულად შეიკრიბა

„ბარსას“ არგენტინელი სუპერვარსკვლავი ლიონელ მესი დაბრუნდა ესპანეთში და ახალი სეზონისთვის მზადებას გუნდთან ერთად შეუდგა.

სამწვრთნელო შტაბის ცნობით, ფეხბურთელი არ არის იდეალურ კონდიციებში, მაგრამ 14 აგვისტოს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ დანიშნული ესპანეთის სუპერთასის პირველი მატჩისთვის მზად უნდა იყოს. ეს ამოცანა არც ისე რთული უნდა იყოს, რადგან ლიონელს შვებულებისას დრო უქმად არ დაუკარგავს. მისმა ფონდმა საქველმოქმედო ამხანაგური მატჩი ჩაატარა, თავად ვარსკვლავმა კი ჩვეულ დონეზე ითამაშა და თავის გუნდს დუბლით შეეწია.

კოპა ამერიკაზე კატალონიურმა კლუბმა მესის გარდა კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი მიავლინა, მათ შორის ხავიერ მასკერანო, ადრიანო და ალექსის სანჩესი. უფრო სწორად, ეს უკანასკნელი ჩილეს ნაკრებში „უდინეზემ“ გაუშვა, მაგრამ შვებულება მან როგორ „ბარსელონას“ ფეხბურთელმა ისე დაასრულა. ამ ფეხბურთელებს აქამდე გუნდის არც ერთ შეკრებაში მონაწილეობა არ მიუღია, შესაბამისად, სწორედ 8 აგვისტოდან მოყოლებული მიეცა ხოსეპ გვარდიოლას პირველად იმის ფუფუნება, რომ ვარჯიშები სრულ შემადგენლობასთან ერთად ჩაეტარებია.

სწორედ სუპერთასი და მომავალი „კლასიკოებია“ ის მთავარი თემა, რითაც ესპანური სპორტული თემა სუნთქავს. ამაზე ლაპარაკით ითქვამენ სულს თავად ფეხბურთელებიც.

— ამ მატჩისთვის სრული კონცენტრაციით ვემზადებით. თქვენ იცით, რომ გამარჯვებული ორი მატჩის ჯამში გაირკვევა. ბუნებრივია, ამისთვის სერიოზული ფიზიკური მზადყოფნაა საჭირო. ორივე გუნდი სეზონისთვის თავისი გეგმის მიხედვით ემზადებოდა. ჩვენ მათი მზადება არ გვაინტერესებს, მთავარია კონცენტრაცია ჩვენს მიზნებზე გავაკეთოთ. ვიცი, რომ ჩემს თითოეულ თანაგუნდელს ძალიან უნდა ამ ტიტულის მოგება, — აცხადებს „ფურია როხას“ ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი დავიდ ვილია.

მთავარი პრობლემა, რაც "ბარსას" შეიძლება "რეალთან" შეექმნას, ეს ჩავი ერნანდესის ტრავმაა. გუნდის ულაპარაკო ლიდერმა კოჭის მყესები დაიზიანა და საეჭვოა უახლოეს დღეებში მწყობში ჩადგომა მოახერხოს.

## ხოსეპ გვარდიოლა: „ახალი სეზონისთვის ფაბრეგასის ტრანსფერიდა დაგვრჩა“



ესპანეთში სეზონი „ელ კლასიკოთი“ გაიხსნება. ქვეყნის ჩემპიონი „ბარსელონა“ და თასის მფლობელი მადრიდის „რეალი“ პირველ მატჩს 14 აგვისტოს მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუზე“ სტადიონზე გამართავენ. განმეორებით მატჩი კი კატალონიის დედაქალაქში 17 აგვისტოს ჩატარდება. ამ პრინციპული ორთაბრძოლების წინ, ესპანური მედიის ჟურნალისტები „ბარსას“ მთავარ მწვრთნელ ხოსეპ გვარდიოლას ესაუბრნენ.

საუბარი კი კატალონიური კლუბის წინასასეზონო ამერიკული შეკრებით დაიწყო.

***— „ბარსელონას“ ამერიკის შეერთებულ შტატებში უამრავი გულშემატკივარი ჰყავს. ელოდით რომ ამდენი ქომაგი დაგხვდებოდათ?***

— „ბარსას“ მსოფლიოს ყველა კუთხეში ქომაგობენ, რაც ძალიან გვახარებს. სადაც არ უნდა ჩავიდეთ, ყველგან ჩვენი კლუბის მაისურებში გამოწყობილი ადამიანები გვხვდებიან. ეს ფაქტი ფეხბურთელებს დამატებით მოტივაციას აძლევს. ვაშინგტონში „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ვითამაშეთ და მატჩის წინ ჩვენთან ლოს ანჯელესის „ლეიკერსის“ ვარსკვლავი კობი ბრაიანტი მოვიდა, რომელმაც გვითხრა, რომ ჩვენი გუშემატკივარია. მოხარული ვარ, რომ „ბარსას“ მხარდაჭერთა რიგებს უპირველესი საკალათბურთო ვარსკვლავიც შეუერთდა.

***— როგორ მიდის მზადება ესპანეთის სუპერთასისთვის? პრინციპულ მოწინააღმდეგესთან, მადრიდის „რეალთან“ სათამაშოდ გუნდი უკვე მზად არის?***

— ჯერჯერობით ისევ მზადების პროცესში ვართ. ხელისშემშლელ მიზეზად ტრავმიანობას დავასახელებ. თუმცა, სუპერთასისთვის, სავარაუდოდ, ყველანი მწყობრში ჩადგომას მოასწრებენ. სადღეისოდ ძნელი სათქმელია, ოპტიმალურ ფორმაში შევხვდებით თუ არა მადრიდელებთან დაპირისპირებას. როდესაც ძირითადი შემადგენლობა მთლიანად შეიკრიბება, მაშინ უფრო კონკრეტულად შემეძლება საუბარი.

***— როდის იკრიბება გუნდი მთლიანი შემადგენლობით?***

— 8 აგვისტოს ყველანი შევიკრიბეთ, მადრიდში გამგზავრებამდე ერთი დღით ადრე კი გადავწყვეტთ, რომელი ფეხბურთელები ითამაშებენ სუპერთასის პირველ შეხვედრაში. არ გამოვრიცხავ 14 აგვისტოს მატჩში მონაწილეობა მიიღოს ლეო მესიმ, აგრეთვე, დანი ალვეშმა, ხავიერ მასკერანომ და გაბრიელ მილიტომ.

***— მადრიდის „რეალთან“ შეხვედრისას მწვრთნელთა ფსიქოლოგიური ომიც მიდის. მზად ხართ ჟოზე მოურინიოსთან დასაპირისპირებლად?***

— ფსიქოლოგიური ომი ხმამაღლაა ნათქვამი. „ბარსელონა“ და „რეალი“ პრინციპული მოწინააღმდეგეები არიან და ჩვენი მეტოქეობით მთლიანად ფეხბურთი მოგებული რჩება. ჩვენც და კასტილიელებსაც საკუთარი ძლიერი მხარეები გაგვაჩნია. რომელი გუნდიც თავის საუკეთესო თვისებებს სრულად წარმოაჩენს, გამარჯვებულიც ის რჩება ხოლმე. მწვრთნელებსაც და ფეხბურთელებსაც ერთმანეთის ძლიერი და შედარებით სუსტი მხარეები კარგად გვაქვს შესწავლილი. „ბარსელონა“ ყოველმხრივ შეეცდება, საკუთარი კოზირები სრულად გამოავლინოს და გამოიყენოს. ჩვენ მამაცები, ტექნიკურები და სწრაფები ვართ. ამის დამტკიცებას სუპერთასზეც შევეცდებით.

***— ხავისა და კარლეს პუიოლის ტრავმები პრობლემა არ არის?***

— ორივე მათგანის აღდგენითი პროცესი დასასრულს მიუხლოვდა. ჩვენთვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელები მალე მწყობრში იქნებიან.

***— წინასასეზონო ტურნეთი კმაყოფილი ხართ?***

— ნაკლებად. სამწუხაროდ ტესტმატჩებში ტრავმები თავიდან ვერ ავიცილეთ — სორიანო და აფელაი დაგვემტვრნენ.

***— „ბარსელონას“ ჩილელ ახალწვეულ ალექსის სანჩესზე რას გვეტყოდით?***

— მან „ბარსას“ დიდი სამსახური უნდა გაუწიოს. თუ ასე არ მოხდა, საკუთარი თავი უნდა დავადანაშაულოთ. სანჩესს ევროპაში თამაშის გამოცდილება არ აქვს და ადაპტაციაში ჩვენი ყოველმხრივი მხარდაჭერის იმედი უნდა ჰქონდეს.

***— „ბარსელონას“ შემადგენლობა უკვე დაკომპლექტებულია თუ კიდევ აპირებთ ტრანსფერების განხორციელებას?***

— ამჟამინდელი შემადგენლობით უკმაყოფილო არ ვარ. მხოლოდ ერთი ტრანსფერის განხორციელებაღა დაგვრჩა. ყველანი ხვდებით, რომელ ფეხბურთელსაც ვგულისხმობ. თუკი სესკ ფაბრეგასთან დაკავშირებით გარიგება არ შედგა, რამდენიმე მოთამაშეს მეორე გუნდიდან დავიმატებთ.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## შედეგები

### ფეხბურთი

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ჰანზა-ბოხუმი | 0:0 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

| | |
|---|---|
| მეცი-არლე | 0:0 |

**ჰოლანდია. მე-2 დივიზიონი**

| | |
|---|---|
| აპელდორნი-კამბური | 2:4 |

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

| | |
|---|---|
| კორონა-რუხი | 2:2 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

| | |
|---|---|
| სუნდსვალდი-ლანდსკრონა | 2:0 |
| ჰამარბი-ლიუნგსკილე | 1:3 |

**ნორვეგია. ტიპელიგა**

| | |
|---|---|
| სტარტი-ჰაუგესუნდი | 1:4 |

### კალათბურთი

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| სერბეთი-ბოსნია | 82:61 |
| სლოვენია-ხორვატია | 60:65 |

### ჩოგბურთი

**ატპ. მონრეალი. ჰარდი**

| | |
|---|---|
| ანდერსონი-ანდუხარი | 6:4;6:4 |
| ვავრინკა-ნალბანდიანი | 6:1;6:4 |
| დოლგოპოლოვი-შვოიკა | 6:3;5:7;6:4 |
| კარლოვიჩი-მონაკო | 6:7;6:3;7:6 |
| ბოგომოლოვი-მანარინო | 6:2;7:6 |
| გულბისი-ფერერო | 3:6;6:1;7:5 |
| ბელუჩი-გოლუბევი | 7:5;7:6 |
| დოდიგი-ჩარდი | 6:3;6:4 |
| დავიდენკო-ჩიპოლა | 6:3;6:3 |
| ჩილიჩი-სეპი | 7:5;6:4 |
| დელ პოტრო-ნიემინენი | 6:4;6:0 |
| ტომიჩი-ლუ | 7:6;6:3 |
| ცონგა-ფონინი | 6:4;7:6 |

**ვტა. ტორონტო. ჰარდი**

| | |
|---|---|
| პეტროვა-გაიდოსოვა | 6:1;6:2 |
| სტოსური-მორიტა | 4:6;6:2;6:3 |
| საფაროვა-ჰერცოგი | 6:3;4:6;6:3 |
| ზაკოპალოვა-არნი | 3:6;1:6 |
| ბარტოლი-ვოსკობაევა | 3:6;3:6 |
| ბრიანტი-ჩჟენი | 2:6;1:6 |
| კუზნეცოვა-ჰალეპი | 6:4;4:6;3:6 |
| პავლუჩენკოვა-მარტინეს სანჩესი | 6:3;4:6;1:6 |
| იანკოვიჩი-გერგესი | 1:6;3:6 |
| მაკაროვა-მარინო | 7:6;6:4 |

# რუსეთში ანტიდასავლური განწყობაა

**2997 წლის აგვისტოს ომის მესამე წლისთავზე, საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილ ვითარებაზე, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარების სავარაუდო პერსპექტივებზე „ინტერპრესნიუსი“ გეოპოლიტიკური კვლევების ცენტრის თავმჯდომარე თენგიზ ფხალა ეს ესაუბრა.**



***— ბატონო თენგიზ, 2008 წლის აგვისტოს ტრაგიკული მოვლენებიდან სამი წლის თავზე, პრეზიდენტმა მედვედევმა „ეხო მასკოვის“, „რაშა თუდეისა“ და „პირველ კავკასიურს“ 2008 წლის აგვისტოს მოვლენეზე, ომის შედეგებსა და საქართველოსთან მიმართებაში კრემლის სავარაუდო პერსპექტივებზე ვრცელი ინტერვიუ მისცა. როგორ შეაფასებდით პრეზიდენტ მედვედევის, ერთი მხრივ, ეკლექტიკურ, მაგრამ იმავდროულად მრავალმხრივ საყურადღებო მტკიცებებსა და განცხადებებს იმის შესახებ, რომ თუ სააკაშვილის ხელისუფლება შეიცვალა, კრემლი მზად იქნება, საქართველოს ნებისმიერ ხელისუფალს ელაპარაკოს ისეთ თემებზეც კი, როგორიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემებია?***

— ეს იყო რუსეთის მმართველი გუნდის რეაქცია საქართველოს საკითხზე აშშ-ის სენატის რეზოლუციასთან მიმართებაში. რეაქციის გასახმოვანებლად, როგორც წესი, მოიაზრება ორი ადამიანი, ერთია მედვედევი, მეორე - პუტინი. ამ შემთხვევაში მომგებიანად ჩაითვალა, “ლიბერალური პრეზიდენტის“(როგორც იგი თავის თავს უწოდებს) პოზიციის დაფიქსირება. ამით კრემლმა ხაზი გაუსვა მმართველი ელიტის ერთსულოვნებას საქართველოს საკითხში. ჩემი აზრით, მედიასაშუალებებიც საგანგებოდ იყო შერჩეული. სამივე ამ მედიასაშუალებების მაყურებულებისთვის, პირობითად ფოკუს-ჯგუფებისათვის მედვედევთან ინტერვიუს უნდა დაემტკიცებინა, რომ დღევანდელ მოსკოვს არ აინტერესებს სენატის რეზოლუცია, არ აინტერესებს, რას ამბობს საერთაშორისო თანამეგობრობა, აკეთებს და ყოველთვის გააკეთებს, რაც თავად მოეპრიანება.

ჩემი შეფასებით, სამივე მიმართულებით მედვედევს პასუხები საკმაოდ უკბილო გამოუვიდა და პირობით ფოკუს-ჯგუფებში საკმაოდ უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. ამაზე კარგად მეტყველებს „ეხო მასკვის“ საიტზე მიმდინარე გამოკითხვა, სადაც უმრავლესობა უფრო დამაჯერებლად მიიჩნევს არა მედვედევის, არამედ სააკაშვილის არგუმენტებს. გარდა ამისა, მედვედევი ინტერვიუში ეწინააღმდეგება საკუთარ თავს და ურთიერთგამომრიცხავ მოსაზრებებს ავითარებს. ერთგან ამბობს, რომ რუსეთისა და ევროკავშირის ხედვა საქართველოს საკითხში განსხვავდება, ხოლო ცოტა მოგვიანებით აღნიშნავს, რომ საქართველოს თემა ევროკავშირის ქვეყნებთან ურთიერთობაში საერთოდ არ ფიგურირებს. ასეთი ლაფსუსები, ისევე როგორც ფაქტების დამახინჯება, ინტერვიუში ბევრია.

მაგრამ, მე მთავრი მაინც სხვა რამე მგონია. თუ ინტერვიუს საქართველოს ხელისუფლების ლამძლვისა და პროპაგანდისტულ ნაწილს ამოვიღებთ, მივიღებთ შემდეგ რეალობას — რუსეთზე გამაღიზიანებლად მოქმედებს საერთაშორისო ასპარეზზე პროქართული რიტორიკის ნაბი-ნაბიჯ დამკვიდრება. რუსეთი კვლავაც რჩება ნეოსაბჭოური, ჩეკისტური ელიტის ტყვეობაში და 2012 წლის არჩევნებით ძალიან ძნელი იქნება ამ ელიტის შეცვლა. რუსეთი კვლავაც იბრძოლებს ზეგავლენის შესანარჩუნებლად და მისთვის კომფორტულია ვითარება, როცა მოლაპარაკებები მისი სცენარით მიმდინარეობს და შედეგზე კი არ არის ორიენტირებულია, არამედ დროის მაქსიმალურ გაწელვაზე. ეს უკანასკნელი მიანიშნებს იმაზე, რომ საქართველოსთან მიმართებაში ახალი ხედვა საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ არის. მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ მოვლენათა განვითარების სცენარები საგულდაგულოდ მუშავდება. ჩემი აზრით, კრემლი ამ სცენარების რეალიზებას მაქსიმალურად მოკლე ვადებში შეეცდება.

კრემლის ამ ქმედებებს ჩვენ უნდა დავუპირისპიროთ მოვლენათა განვითარების ჩვენეული სტრატეგია და საკუთარი ინტელექტუალური პროდუქტი. რადგან, მძიმეწონიან მოწინააღმდეგეს მხოლოდ აზროვნების სისხარტით შეიძლება მოერიო.

***— პრეზიდენტმა მედვედევმა კი თქვა, რომ არც სენატის და არც ევროკავშირის აზრი არ აინტერესებს, მაგრამ აგვისტოს ომის შედეგებთან დაკავშირებით აშშ-ის სენატსა და ევროსტრუქტურებს საქართველოს მხარდამჭერი არა ერთი რეზოლუცია და განცხადებები აქვს მიღებული. ფაქტია, რომ რუსეთი ოკუპურებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დეოკუპაციის პროცესის დაწყებას არ აპირებს. მეტიც, რუსეთის პრემიერ-მინისტრმა პუტინმა სამხრეთ ოსეთის რუსეთის ფედერაციაში შესვლაც არ გამორიცხა. თქვენ აზრით, რას შეიძლება ნიშნავდეს რუსეთთან მიმართებაში საქართველოს საკითხში დასავლეთის, რბილად რომ ვთქვათ, უხერხემლობა? თუ იგივე ვაშინგტონი და ბრიუსელი მოსკოვისგან რეალურად ითხოვენ ოკუპირებული ტერიტორიებიდან რუსული ჯარის გაყვანას, რატომ ვერ ხერხდება ვითარების მკვდარი წერტილიდან დაძვრა?***

— ეს გახლავთ ხანგრძლივი პროცესი, რომელიც მოითხოვს ნერვებს და ცივი გონებით მოქმედებას. პოლიტიკაში, საქმის მკვდარი წერტილიდან დაძვრა მაშინ ხდება ხილული, როდესაც პოზიციები შეჯერებულია, ფაქტობრივი გადაწყვეტილება მიღებულია და საქმე მის ოფიციალურ გაფორმებასა და იმპლემენტაციაზე დგას. სამწუხაროდ, ჩვენ დღეს სხვა რეალობაში ვიმყოფებით და შეჭიდებულები ვართ მრავალწახნაგოვან პრობლემას, რომლის მთლიანი კვინტესენცია ჯერ კიდევ შესასწავლი და გასააზრებელია. ამ მხრივ პირველი ნაბიჯები იდგმება. საქართველოს საკითხზე საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ მიღებული რეზოლუციებისა და განცხადებების მიღებას გარკვეული დრო და ძალისხმევა დასჭირდა. გახსოვთ ალბათ, რომ აგვისტოს შემდეგ, ბევრი საუბრობდა ახალ რეალობაზე, მაგრამ რუსეთის ხედვით ახალი რეალობა ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოა, ჩვენი ხედვით კი - ოკუპირებული ტერიტორიები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა. სამი წლის განმავლობაში მოხერხდა ის, რომ ტერმინი “ძალის არაპროპორციული გამოყენება“, შეიცვალა ტერმინით “ოკუპაცია“ . ეს არ არის უმნიშვნელო მიღწევა, თუმცა ეს მხოლოდ პირველი ეტაპია, რაც გულისხმობს პარტნიორ ქვეყნებთან პოზიციების შეჯერებას და საერთასორისო პრაქტიკაში ჩვენთვის სასურველი ტერმინოლოგიის დამკვიდრებას.

თუმცა, ერთია ოკუპაციის თემა და კიდევ სხვა თემაა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ თანამემამულეებთან და თანამოქალაქეებთან ურთიერთობა. საქართველომ ამ ტერიტორიების დეიზოლაციის გზა აირჩია, მაგრამ, როგორ უნდა მოხდეს დეიზოლაცია და როგორ უნდა განვახორციელოთ ჩართულობის სტრატეგია ამაზე სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია და, უპირველეს ყოვლისა, სწორედ დასავლეთთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. კიდევ ცალკე საკითხია რუსეთთან ურთიერთობა, ტერიტორიული მთლიანობის აღიარება არ ნიშნავს აღიარების უკან წაღებას და არც აღიარების დემონსტარცია არ ნიშნავს პრობლემის საბოლოოდ მოგვარებას. ასე რომ, შავი სამუშაო საკმაოდა გვაქვს ჩასატარებელი, რომ „ლოდი ადგილიდან დაიძრას“ და თანაც ჩვენთვის სასურველი მიმართულებით და თანაც, წინასწარგანსაზღრული მიმართულებით გაგორდეს.

***— თქვენი აზრით, როგორ შეიძლება ერთმანეთთან შევათავსოთ საქართველოს საკითხში რუსეთის მიმართ ვაშინგტონისა და ბრიუსელის მკაცრი რიტორიკა, თბილისისადმი მათივე მთავარ გზავნილთან - როგორმე მოვაწესრიგოთ ურთიერთობები მოსკოვთან? სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, სად გადის ზღვარი ამერიკულ-ევროპულ ემოციებსა და იმავე ევროპულ-ამერიკულ რეალიზმს შორის?***

— ეს ზღვარი გადის იქ, სადაც იწყება პოლიტიკა. მოსკოვის მიმართ მკაცრი რიტორიკა და თბილისისადმი მოწოდებები ერთი მედლის ორი მხარეა და პრაგმატული მოსაზრებებით არის ნაკარნახევი. ფაქტობრივად, ამ გზვნილით დასავლეთი ხაზს უსვამს, რომ მისთვის მიუღებელია თანამედროვე მსოფლიოს გავლენის სფეროებად დაყოფა და სუვერენული სახელმწიფოების მიმართ ისეთი პოლიტიკის განხორციელება, რომელსაც მოსკოვი ახორციელებს, მაგრამ, იმავდროულად, მიგვანიშნებს, რომ ყველა სადაო საკითხი უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების მაგიდასთან და აღარ უნდა დაბრუნდეს “ცივი ომის“ ეპოქა. დასავლეთს საკუთარი პრაგმატული ინტერესები აქვს, მათ შორის რუსეთის ფედერაციასთან მიმართებაში. დასავლეთისთვის მნიშვნელოვანია რუსეთთან არსებული ეკონომიკური კავშირები, ენერგეტიკული და სხვა რესურსები. იმავდროულად, რუსეთი ბირთული იარაღის ქვეყანა გახლავთ, რაც უდაოდ ანგარიშგასაწევი გარემოებაა. ამიტომაც, დასავლური პრაგმატიზმიც იმაში მდგომარეობს, რომ დასავლური სახელმწიფოები უპირველეს ყოვლისა საკუთარი ინტერესებით მოქმედებენ, რაშიც დემოკრატიული ფასეულობების დაცვაც იგულისხმება, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ევროატლანტიკური მისწრაფებების მხარდაჭერაც და იმავდროილად რუსეთთან თანამშრომლობის შენარჩუნებაც. ამის ნათელი მაგალითია ნატო-ს ახალი სტრატეგიული კონცეფცია.

***— არავინ უარყოფს, რომ დასავლეთი საქართველოსადმი სიმპატიებს გამოხატავს და საკმარისად ეხმარება, საქართველოს თავისი კონკრეტული ადგილი აქვს მიჩენილი საერთაშორისო ურთიერთობებში, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ საქართველოს საკითხში, კერძოდ, 2008 წლის ომის შედეგების გამოსწორების თვალსაზრისით, რეალურად, ჩიხური ვითარებაა. იზიარებთ თუ არა იმ ექსპერტთა მოსაზრებას, რომ 2008 წლის ომის შედეგებთან დაკავშირებით ვითარება მანამდე არ შეიცვლება, ვიდრე მსოფლიოს სამ ძირითად მოთამაშეებს, ამერიკა-ევროპა-რუსეთს შორის ურთიერთობები არ დალაგდება?***

— ეს, უდაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია და სწორედ ამიტომაც დაიწყო გადატვირთვის პოლიტიკა. რა თქმა უნდა, ამერიკა-რუსეთის, თუ ევროპა-რუსეთის ურთიერთობებზე ბევრად არის და იქნება დამოკიდებული თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების შემდგომი განვითარების პერსპექტივა. რუსეთში ანტიდასავლური ფობია საკმაოდ პოპულარულია და არსებული რეჟიმის მიერ თავისი ამოცანების განსახორციელებლად წარმატებით გამოიყენება. რაც მალე დაიმსხვრევა „ცივი ომის“ პერიოდის სტერეოტიპები, მით უფრო მეტი სივრცე გაჩნდება თანამშრომლობისთვის. ასეთ ვითარებაში რუსეთში საქართველოს ჩრდილოატლანტიკური მისწრაფებებიც აღარ იქნება საფრთხედ აღქმული. იგი აღქმული იქნება, როგორც ქვეყნის მოდერნიზაციის, აღმშენებლობისა და განვითარების ოპტიმალური გზა, რაც თავად რუსეთისათვის სამხრეთ საზღვრებზე წარმატებული პარტნიორის არსებობას გულისხმობს. მაგრამ, აქამდე მისვლა ადვილი არ არის. ამას სჭირდება დრო და — საკმაოდ რთული გზაა. მაგრამ, გადატვირთვის ~~პოლიტიკას არ შეიძლე~~ბა ალტერნატივა ჰქონდეს და მის წარმატებაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. მაგრამ, იმავდროულად ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ პროცესის მიმდინარეობისას ჩვენ მოსაცდელში უნდა ვისხდეთ და ველოდოთ სანამ „უფროსები“ არ მოილაპარაკებენ და შემდეგ მათ ვერდიქტს უსიტყვოდ დავემორჩილებით. ის, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს ვითარება, მეტწილად სწორედ ჩვენზე, ჩვენს აქტივობასა და გამჭრიახობაზეა დამოკიდებული.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში მთავარია არა, ბირთული არსენალი, ტერიტორიის სიდიდე და ბუნებრივი რესურსები, არამედ ქვეყნის განვითარების დონე და ძლერ ინტელექტუალური პოტენციალი. ამის დასტურად სკანდინავიისა და ბენელუქსის ქვეყნების მაგალითიც გამოდგება. ამიტომაც, ჩვენი მომავალი, უმეტეს წილად, სწორედ ჩვენს მუყაითობაზე და ჩვენსავე შორსმჭვრეტელობაზე იქნება დამოკიდებული.

**ინტერპრესნიუსი**

## ბულაძეს მხატვართა კავშირის თავმჯდომარეობა ჩამოართვეს



თბილისის საქალაქო სასამართლომ მხატვართა კავშირის თავმჯდომრის გია ბულაძის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი დააკმაყოფილა.

სასამართლომ მხატვარ გურამ ცერცვაძის სასარგებლო გადაწყვეტილება მხოლოდ ერთ ნაწილში მიიღო.

როგორც მოსამართლემ განაცხადა, კენჭისყრა 12 თებერვალს დარღვევით იყო ჩატარებული და შესაბამისად არჩევნების ოქმი მან ბათილად ცნო, თუმცა, მეორე ნაწილი, რომელშიც ცერცვაძე მოითხოვდა, მხატვართა კავშირის თავმჯდომარე გამხდარიყო, მოსამართლემ არ დააკმაყოფილა.

მხატვართა კავშირის ახალ თავმჯდომარეს სავარაუდოდ, არჩევნების გზით აირჩევენ.

შეგახსენებთ, რომ გია ბულაძეს მხატვართა კავშირის თავმჯდომარის თანამდებობაზე კანონდარღვევით დანიშვნას ედავებოდნენ.

**პირველი**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მოთელილი მატყლისაგან დამზადებული თბილი მოსასხამი; 2. მტაცებელი ცხოველი; 3. გერბების შემსწავლელი დისციპლინა; 4. ყოველდღიური გაზეთი იაპონიაში; 5. სიმდიდრე, სიუხვე, ბარაქა; 8. საჩუქრად მირთმეული რამ; 9. კაფე-ბარი საცეკვაო მოედნით; 12. ესპანური წესით დამზადებული შებოლილი ღორის ხორცი; 14. ლიტერატურული პრემია ბრიტანეთში; 16. სოფელი სიღნაღის რაიონში.

**თარაზულად:** 1. ქართული მინერალური წყალი; 6. ისტორიული სასტუმრო ნიცაში; 7. ზიარების რიტუალისთვის განკუთვნილი ოქროს ან ვერცხლის სასმისი ეკლესიაში; 9. მეტალურგიული ღუმელების მშენებლობაში გამოყენებული ცეცხლგამძლე აგური; 10. ტბა გაგრის რაიონში; 11. სამონასტრო კომპლექსი ყვარლის რაიონში; 13. მდინარე რომში; 15. კურორტ იალტას ძველი სახელწოდება; 17. კუნძულოვანი სახელმწიფო კარიბის ზღვაში; 18. ქალაქი შვეიცარიაში, სადაც განთავსებულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რეზიდენცია; 19. ესპანური ავიაკომპანია; 20. ეგვიპტის მმართველი ტიტული.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ქედანი; 2. ფოთი; 3. ლაფონტენი; 4. ლარგო; 5. ნეოლითი; 8. ლოპოტი; 9. „მაკნატუნა“; 12. ლეკები; 14. აქსისი; 16. აიეტი.

**თარაზულად:** 1. ქლოროფილი; 6. ნადირაძე; 7. დვალეთი; 9. მადონა; 10. „სონი“; 11. მოზაიკა; 13. ომანი; 15. ჩელიტა; 17. დიონისე; 18. „ხეტაფე“; 12. „ტვისტი“; 20. ლიტანია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბასტურმა; 2. იაჰვე; 3. პრემიერა; 4. თოხანი; 7. „ციცქა“; 9. მრუმე. 12. ულტიმატუმი; 14. ხარება; 15. ჰიპნოსი; 17. კუმურდო; 20. ჯეზვე.

**თარაზულად:** 5. „ბარახასი“; 6. ვეროკიო; 8. შევალიე; 10. პეკინესი; 11. ამქარი; 13. ქიაჩელი; 16. რენეგატი; 18. გუამი; 19. „ოპელი“; 21. უემბლი; 22. ასკურავა; 23. ტანდემი.


## SMS-განცხადებები 3090

**იყიდება**

❖ მეცხოველეობის ფერმა, 18 მეწველი ძროხა, კაპიტალური ბინით, საქონლისა და მომვლელისთვის უნიკალური პირობები მთელი წლის მანძილზე. მისამართი: გრუზულა ტბის აგარაკები, გლდანის ციხიდან 7 კილომეტრში, ფასი შეთანხმებით. 599-90-11-95. გიორგი.

❖ ავტომანქანა ნისან პატრული, 1996 წელს გამოშვებული, 2.8 მექანიკა, დიზელი, წითელი, კარგ მდგომარეობაში. 599-90-11-95, გიორგი.

❖ საოჯახო ბალონებში გაზის გასამართი ცისტერნა, 5 ტონა ტევადობის, რუსეთში ქარხნული წესით დამზადებული, კარგ მდგომარეობაში. 599-90-11-95, გიორგი,

❖ მიცუბიში აერტრეკი, ავტომატიკა, განარბენი – 170.000, 2001 წ. 7 თვის ჩამოყვანილი. თიპტრონიკი, ელექტროშუშები და სარკეები. Abs. მარცხენა საჭით. მოტორი 2. 0. იდეალურ მდგომარეობაში. ფასი: 8.500 $ მობ: 599-19-39-49, მამუკა.

# ნავთობის გაიაფებამ რუბლის გაიაფება გამოიწვია




რეიტინგული სააგენტოს „სტანდარდ ენდ ფურსის" მიერ აშშ-ის ხაზინის ობლიგაციების რეიტინგის შემცირების გადაწყვეტილებამ მსოფლიო ფინანსური ბაზრების დაცემა გამოიწვია.

დღემდე ეს ქაღალდები ინვესტირების ყველაზე საიმედო საინვესტიციო ინსტრუმენტად ითვლებოდა და რეიტინგის შემცირების შემდეგ მსხვილმა საინვესტიციო ფონდებმა ძვირფასი ლითონებისაკენ იბრუნეს პირი.

სამშაბათისათვის უნცია ოქროს ფასმა 1750 დოლარს მიაღწია. წლის ბოლომდე, სავარაუდოდ, ოქროს ფასი 2500 დოლარი შეიძლება გახდეს.

ყველაზე მეტად დაზარალებულთა შორის რუსეთის საფონდო ბაზარი აღმოჩნდა. ანალიტიკოსების თქმით, ბაზრიდან კაპიტალის გადინება ჯერ კიდევ აპრილში დაიწყო, საბერძნეთის ფინანსური მდგომარეობის გამწვავებასთან ერთად. მსოფლიო ეკონომიკაში არსებული პრობლემების გამო საინვესტიციო ფონდებს განვითარებადი ბაზრებიდან კაპიტალი გააქვთ.

როგორც ეკონომისტები აღნიშნავენ, აშშ-ის ხაზინის ობლიგაციების რეიტინგის შემცირება არ ნიშნავს იმას, რომ ვინმეს აშშ-ის მიერ ვალების გასტუმრების უნარში ეჭვი ეპარება. სამაგიეროდ, ამან კრედიტების ღირებულება შეიძლება გაზარდოს.

სავარაუდოდ, ევროპაში ინფლაციაა მოსალოდნელი. გასული კვირის ბოლოს ევროპის ცენტრობანკის ხელმძღვანელმა ჟან-კლოდ ტრიშემ განაცხადა, რომ მისი უწყება იტალიისა და ესპანეთის ობლიგაციებს განუსაზღვრელი ოდენობით შეისყიდის, რათა მათი გაკოტრება არ დაუშვას.

მზარდი ინფლაციის ფონზე ნავთობის ფასის ზრდაა მოსალოდნელი.

თუმცა, ჯერჯერობით ნავთობის ფასი ეცემა. სამშაბათს ბრენტის მარკის ნავთობის ფასმა ბარელზე 101 დოლარი შეადგინა. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ რუსეთის ბიუჯეტი ბარელზე 85 დოლარის ფასზეა გათვლილი.

ნავთობის გაიაფება, შესაბამისად, რუბლის კურსის დაცემას იწვევს. სამშაბათისათვის დოლარის კურსი 98 კაპიკით გაიზარდა, ხოლო ევროს ღირებულებამ 42 რუბლს მიაღწია.

# ვილნიუსში სატელევიზიო ანძაზე საკალათბურთო კალათა დაამონტაჟეს



31 აგვისტოდან 18 სექტემბრამდე ლიტვაში ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი ჩატარდება კალათბურთში, რომელშიც მონაწილეობას საქართველოს ნაკრებიც მიიღებს. თუმცა, ამჯერად თემა არა ჩვენი ნაკრები, არამედ ვილნიუსის სატელევიზიო ანძაა.

ევროპის ჩემპიონატის მსვლელობისას ვილნიუსის სატელევიზიო ანძაზე საკალათბურთო კალათს ჩამოკიდებენ. კალათის დიამეტრი 34.7 მეტრს შეადგენს, მასზე მიმაგრებული იქნება 40 მეტრის სიგრძის ბადე, რომელსაც 545 ნათურა გაანათებს. ანძაზე დამონტაჟებული დეკორაცია მთელი ჩემპიონატის მანძილზე განათებული იქნება.

ვილნიუსის ქუჩები გალამაზდება დროშებით, რომელზეც ჩემპიონატის ატრიბუტიკაა აღბეჭდილი და ასევე ნაგვის ყუთებზე კალათა იქნება დახატული, რომელშიც ბურთი ვარდება, ამით ქალაქის ხელმძღვანელობა ლიტველებს მოუწოდებს ნაგავი ურნაში ზუსტად ჩააგდონ.

საკალთბურთო კალათის დამონტაჟება ანძაზე ადრეც მომხადარა, კერძოდ კი 2006 წელს ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც იაპონიაში ჩატარდა.

ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში ლიტვის 6 ქალაქში — ვილნიუსში, კაუნასში, კლაიპედაში, შაულაეში, პანევეჟისში და ალიტუსში გაიმართება. ფინალური სეხვედრა 18 სექტემბერს კაუნასში ჩატარდება.

საქართველოს ნაკრები ჯგუფურ ტურნირს კლაიპედაში ჩაატარებს.

**მ. ჟ.**

# საფრანგეთმა უკრაინიდან ელჩის გაწვევის გადაწყვეტილება მიიღო

საფრანგეთმა უკრაინიდან ელჩის გაწვევის გადაწყვეტილება მიიღო. ამის მიზეზი კი დიპლომატის მიერ უკრაინის ექს-პრემიერ იულია ტიმოშენკოს სასამართლო პროცესის შესახებ გაკეთებული შეფასება გახდა.

ჟაკ ფორანმა ერთ-ერთ შეხვედრაზე განაცხადა, რომ ტიმოშენკოს პროცესი სამართლიანობისგან შორს, მაგრამ პოლიტიკასთან ახლოს დგას.

ექს-პრემიერის სასამართლო მოსმენა ხვალ განახლდება.

ხელისუფლებამ ტიმოშენკოს მომხრეებს საპროტესტო აქციების ჩატარება აუკრძალა და კარვების აღება დაავალა.

სასამართლო პროცესზე მოსამართლემ ტიმოშენკოს ადვოკატის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და ექს-პრემიერი კვლავ პატიმრობაში დატოვა. აღნიშნული გადაწყვეტილება ტიმოშენკოს მომხრეებმა გააპროტესტეს, რასაც სამართალდამცველებთან ფიზიკური დაპირისპირება მოჰყვა.

შეგახსენებთ, რომ გამოძიება ტიმოშენკოს რუსეთთან უკრაინის საზიანოდ კონტრაქტის გაფორმებას ედავება და მას უფლებამოსილების გადამეტებაში ადანაშაულებს.

**პირველი**

# დევიდ კემერონი ლონდონში წესრიგის აღდგენას ცდილობს

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დევიდ კემერონმა განაცხადა, რომ ბოლო 20-წლიანი პერიოდის არნახული არეულობის შემდეგ წესრიგი აუცილებლად აღდგება, ინიციატორები კი თავიანთი საქციელის გამო პასუხს სრულად აგებენ.

პრემიერ-მინისტრის განცხადებიდან ჩანს, რომ არეულობის მონაწილეთა ასაკს შეიძლება მნიშვნელობა არ ჰქონდეს. „თუკი საკმარისად დიდი ხართ იმისათვის, რომ ასეთი დანაშაული ჩაიდინოთ, საკმარისად დიდი ხართ იმისთვის, რომ პასუხი აგოთ", — განაცხადა კემერონმა.

დაუნინ სთრითზე გამართული საგანგებო სხდომის დროს ბრიტანეთის პრემიერმა მომხდარ მოვლენებს „წმინდა წყლის კრიმინალი" უწოდა, რომელიც „უნდა დაემხოს" და განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში ლონდონის ქუჩებში პოლიციელთა რიცხვი 16 ათასამდე გაიზრდება.

კემერონის თქმით, ეჭვი არავის უნდა შეეპაროს იმაში, რომ ბრიტანეთის ქუჩებში წესრიგის აღსადგენად მთავრობა ყველა ზომას მიმართავს.

პრემიერის თქმით, ბრიტანეთის პარლამენტი არდადეგებს შეწყვეტს და ხუთშაბათისთვის საგანგებო სხდომას გამართავს.

ბრიტანეთის დედაქალაქში უკვე მესამე დღეა ახალგაზრდების ჯგუფებსა და პოლიციელებს შორის შეტაკებები გრძელდება. ძარცვისა და რბევის ტალღა ბრიტანეთის სხვა დიდ ქალაქებს — ბირმინჰემს, ლივერპულს, მანჩესტერსა და ბრისტოლსაც მისწვდა.

ბრიტანეთის პრემიერმა ორშაბათს საღამოს იტალიაში შვებულება შეწყვიტა და შინ დაბრუნდა. საგანგებო სხდომის დაწყების წინ დევიდ კემერონი შს მინისტრ ტერეზა მეისა და სკოტლენდ იარდის ხელმძღვანელ ტიმ გოდვინს შეხვდა.

პრემიერ-მინისტრს ლონდონი ძალიან შეცვლილი დახვდა. ქალაქის მრავალ რაიონში სამი დღის განმავლობაში ხანძრები გაჩნდა, გაანადგურეს მაღაზიები, პოლიციის მანქანები. მიმომხილველების თქმით, ეს პატარა „ამბოხებები" დევიდ კემერონისათვის პირველ ნამდვილ კრიზისად იქცა და მათ უნდა გამოარკვიონ, გააჩნია თუ არა მას ლიდერის თვისებები.

არეულობა ლონდონის ჩრდილოეთით, ტოტენჰემში დაიწყო, სადაც 300-მდე ახალგაზრდამ ადგილობრივი პოლიციის განყოფილებასთან მოიყარა თავი 29 წლის ახალგაზრდის, მარკ დაგენის მკვლელობის გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად.

მარკ დაგენი 4 აგვისტოს პოლიციელის ტყვიით დაიღუპა.

ინციდენტის შედეგად დაიჭრა პოლიციელიც, თანაც, როგორც ამბობენ, პირველმა ახალგაზრდამ ისროლა.

ამის შემდეგ პოლიციას აზვირთებულ ახალგაზრდებთან გამკლავება ძალიან უჭირს. პრემიერ-მინისტრმა უნდა გამოარკვიოს, თუ



რამდენად შორს გასცდა მღელვარება ერთი რაიონის ფარგლებს და რა დგას ამ არეულობის მიღმა. გარდა ამისა, კემერონს მოუწევს გამოარკვიოს, თუ რატომ ვერ შეძლო პოლიციამ მოზარდების დაშოშმინება.

ოპოზიციური, ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა, ედ მილიბენდმა, რომელმაც ასევე შეწყვიტა თავისი შვებულება და ლონდონს დაუბრუნდა, მოვლენებს „კრიმინალური ქცევა" უწოდა.

მილიბენდის თქმით, პოლიციამ სიმკაცრე უნდა გამოიჩინოს და ქალაქის ქუჩებში წესრიგი აღადგინოს. მისი აზრით, პრემიერი სწორად მოიქცა, როდესაც საგანგებო ვითარებათა სამთავრობო კომიტეტი მოიწვია. მთავრობამ მოქალაქეთა უსაფრთხოება უნდა უზრუნველყოფს.

არეულობის გამო ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია იძულებული გახდა, უემბლის სტადიონზე ოთხშაბათისათვის დანიშნული ამხანაგური შეხვედრა გადაედო ინგლისისა და ჰოლანდიის ნაკრებებს შორის.

შეხვედრაზე დაახლოებით 70 ათასი ბილეთი გაიყიდა. ინგლისის ნაკრების ფეხბურთელებმა, უეინ რუნისა და რიო ფერდინანდის ჩათვლით, თავიანთ მიკრობლოგებზე არეულობის მოთავეებს ძალადობის შეწყვეტისა და „დამშვიდებისაკენ" მოუწოდეს.

იმავე მიზეზით გადაიდო სამშაბათისათვის დაგეგმილი ინგლისის ლიგის თასის მატჩები, სამი ლონდონში, ერთი — ბრისტოლში.

საფრთხე ემუქრება შაბათისა და კვირისთვის დაგეგმილ პრემიერლიგის მატჩებს. პირველ რიგში ეს ეხება ევერტონისა და ტოტენჰემის მატჩს, რომელიც სწორედ არეულობის ცენტრად ცნობილ რაიონშია დანიშნული.

გარდა ამისა, ლონდონი მიმდინარე კვირის განმავლობაში 2012 წლის ოლიმპიადის მატჩებს მასპინძლობს, რის გამოც ლონდონში ოლიმპიური კომიტეტის საერთაშორისო კომისია ჩავიდა.

თამაშებისათვის მზადება ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების 200-ზე მეტმა წარმომადგენელმა უნდა განიხილოს, რომლებიც ლონდონს ეწვივნენ.

# თურქეთი სირიის ხელისუფლების მოქმედებით უკმაყოფილოა

სირიის არმიის მიერ საკუთარი ქალაქებისათვის ცეცხლის დაშენასთან ერთად მეზობელმა თურქეთმა სირიაში საგარეო საქმეთა მინისტრი აჰმედ დავუთოღლუ გაგზავნა, რომელსაც სირიის მთავრობისათვის თურქეთის მოთხოვნა უნდა გადაეცა.

თურქეთი დემონსტრანტების მიმართ ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით უკმაყოფილოა. თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯეპ ერდოგანმა მანამდე განაცხადა, რომ მისი მოთმინების ფიალა ივსება. თურქი პოლიტიკოსის ვიზიტამდე სირიიდან თავიანთი ელჩები გაიწვიეს საუდის არაბეთმა, ბაჰრეინმა და კუვეიტმა.

ორშაბათს სირიის არმია ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით ქალაქ დეირ-აზ-ზორისათვის ცეცხლის დაშენას აგრძელებდა. კვირას, იერიშის დაწყების შემდეგ, 50-მდე ადამიანი დაიღუპა. სამხედროების თავდასხმის შიშით მოსახლეობა სახლიდან არ გამოდის, დაჭრილების საავადმყოფოში გადაყვანისაც კი ეშინიათ.

მიმდინარე წლის მარტში ოპოზიციისა და შეიარაღებული ძალების შეტაკებების დაწყებიდან დღემდე სირიაში 1700-მდე ადამიანი დაიღუპა. ბოლო ერთი კვირის განმავლობაში დაღუპულთა რიცხვმა 300-ს მიაღწია.

სირიაში უცხოელ ჟურნალისტებს შესვლა აკრძალული აქვთ, ამიტომ ადგილობრივი მოსახლეობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციების მონაცემების დაზუსტება შეუძლებელია.

სირიის სახელმწიფო ტელევიზიის თანახმად, პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა თავდაცვის ახალი მინისტრი დანიშნა. ეს პოსტი არმიის გენერალმა, გენერალური შტაბის ყოფილმა უფროსმა დაუდ რაჯამ დაიკავა. მინისტრის პოსტზე მან გენერალი ალი ჰაბიბა შეცვალა.

ოფიციალური „სანას" სააგენტოს თანახმად, სამთავრობო ჯარები ქალაქ ჰამას ტოვებენ, სადაც ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ოპოზიციასა და არმიას შორის გააფთრებული შეტაკებები მიმდინარეობდა.




მიმომხილველების თქმით, მრავალი თურქი მუსლიმანი სირიის ოპოზიციისადმი სიმპათიით არის განწყობილი, რადგან ისინი, თურქების მსგავსად, სუნიტი მუსლიმანები არიან. თურქი მუსლიმანები განსაკუთრებით იმით არიან უკმაყოფილო, რომ სირიის ჯარებმა მუსლიმანთათვის წმინდა რამადანის თვის დროსაც კი არ შეწყვიტეს თავდასხმები.

თუმცა, როგორც მიმომხილველები ვარაუდობენ, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ თურქეთმა სირიასთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტოს.

რაც შეეხება საუდის არაბეთს, საუდის არაბეთის მეფე აბდალამ განაცხადა, რომ ძალადობა მიუღებელია და სირიის ხელისუფლებს მისი შეჩერებისაკენ მოუწოდა.

მეფის განცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე არაბული სახელმწიფოების ლიგამ ოფიციალური განცხადება გაავრცელა, რომელშიც სირიაში მიმდინარე ძალადობა დაგმო.

სირიაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით მისი მეზობელი ქვეყნები ასეთი მკაცრი განცხადებებით პირველად გამოვიდნენ.

ასადი კვლავინდებურად ამტკიცებს, რომ მისი მთავრობა რეფორმებს ატარებს და ძალადობაში ტერორისტების შეიარაღებულ ბანდებს ადანაშაულებს. მისი თქმით, ტერორისტებს უცხოელი სახელმწიფოები უჭერენ მხარს.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 10 აგვისტო**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** დოკ. ფილმი "უძველესი აღმოჩენები" **08.30** ან. ფილმი "ცეროდენა მაშველები" **09.00** სათავგად. ფილმი "**მერლინის შეგირდი**" **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 19.00, 20.00** მოამბე **12.30** აუდიტორია **13.30** მეხსიერება **14.00** დოკ. ფილმი "რეგბიში მსოფლიოს ჩემპიონატის კლასიკური მატჩები" **15.00** სერ. "**დღეები ლეონესთან ერთად**" **17.00** ან. ფილმი "ცეროდენა მაშველები" **18.00** ჩვენი სამართალი **18.30** სილამაზის ფორმულა **19.05** დოკ. ფილმი "რომი, იმპერიის აღმავლობა და დაცემა" **19.40** "პეპეს ზღაპრები" **21.00** სერ. "**დღეები ლეონესთან ერთად**" **22.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **22.25** ფეხბურთი: ამხანაგური მატჩი: "**პოლონეთი – საქართველო**" (პოლონეთიდან) **00.20** მხ. ფილმი "**გარიყული**" **02.40** მოამბე **03.00** ევროპული არჩევანი **04.30** მხ. ფ. "**ის, რასაც სიყვარული ჰქვია**" (სუბტ.)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" **14.00** საუკუნის პორტრეტები – ვ. ანჯაფარიძე **17.00** მეხსიერება – დინამო – ჰამბურგი **19.00** დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" **20.00** მხ. ფილმი "**ჰარვარდელი უსახლკარო**" **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **01.00** მხ. ფილმი "**ის, რასაც სიყვარული ჰქვია**"

**08.00** კურიერი **08.30** ან. ფილმი "ტრანსფორმერები" **08.40** ან. ფილმი "ეშმაკური ლიგა" **09.00** ექსტრემალური შეჯიბრებები **10.00** სერ. "**ცოდვილი**" **11.00** სერ. "**მიმწყვდეული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სერ. "**მაშველები**" **13.30** ქართ. ფილმი "**რაც გინახავს ვეღარ ნახავ**" **15.40** კომედი შოუ **17.00** სერ. "**ავრორა**" **18.45** "ამერიკის სასაცილო ვიდეოები" **19.45** სერ. "**ახალგაზრდა ქვრივი**" **22.00** იღბლიანი ბორბალი **23.00** რა? სად? როდის? **00.00** ექსტრემალური შეჯიბრებები **01.00** პატრული **01.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**08.00** ან. ფილმი "ქალთევზას თავგადასავალი" **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.10, 05.00** ქრონიკა **09.15** სერ. "**გმირები – 2**" **10.00** სერ. "**ლამაზი სიცოცხლე**" **11.40** სერ. "**სიყვარულის ზღვა**" **12.50** სერ. "**ფული და სექსი**" **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** მუს. ლიგა (გან.) **16.00** სერ. "**მეტოქეები**" **17.40** სერ. "**სიყვარულის ზღვა**" **18.40** სერ. "**როცა სიყვარული მოდის**" **21.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **22.00** იუმორინა **23.00** ბათუმი ლაივი **00.00** მხ. ფილმი "**შავი ორქიდეა**" (სუბტ.) **02.15** მხ. ფილმი "**საბედისწერო მოგზაურობა**" (სუბტ.) **03.50** მხ. ფილმი "**ნედ კელი**" (სუბტ.)

**08.00** ანიმაცია "ყველა ძაღლი სამოთხეში მიდის" **09.45, 11.00, 12.20, 14.30, 19.00, 23.30, 0.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00, 13.00, 22.30, 04.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **15.30** ფარული კამერა **16.00** სერ. "**პოლიციელთა ამბები**" **17.10** მხ. ფილმი **05.00, 07.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00, 23.40** სერ. "**სოფია, ცოტა მადროვე**" **10.00** დოკ. ფილმი "ქალაქის ხედები" **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერ. "**სინდისის საკითხი**" **12.50, 19.35** სერ. "**მეგობრები**" **15.15** სერ. "**განებივრებული ლამაზმანი**" **16.00** დოკ. ფილმი "ისინი" **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი "ქალაქის ხედები" **23.00** სცენა **00.30** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** "დიდ ხარ შენ უფალო" **09.05** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.20** სალვთისმეტყველო საუბრები **10.55** მგზავრები წუთისოფლისა **11.20** დროის ჩანაწერები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი "**ივანე კოტორაშვილის ამბავი**" **13.30** კონცერტი – ვაჟა აზარაშვილი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** მხ. ფილმი "**მე მოვედი**" **16.30** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **16.55** კვირიაკე **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** "დიდ ხარ შენ უფალო" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.20** მხ. ფილმი "**მევლუდი**" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** გზა, რომლითაც ვიარე **22.20** ქართული ალბომი **22.40** მოკლ. ფ. "**ბზიანეთი**" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** პერსპექტივა **00.30** განთიადის კოლეჯი **01.30** პერსპექტივა (გაგრძ.)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**10 აგვისტო**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი


აშშ დოლარი — 1,6601


ევრო —2,3691


ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7259


რუსული რუბლი — 0,0582

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 24-2§, ღამით — 15-17

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 28-31, ღამით — 18-22

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18-25, ღამით — 8-15

## ამინდის პროგნოზი 10 აგვისტოსთვის




# ორშაბათიდან ორშაბათამდე!

ჟურნალი **ფასი: 69 თეთრი**

## გუმბათი

**„რა სასწაული იხილა ნუგზარ კვაშალმა ლიკანში“**

**ნანული სარაჯიშვილი: „ჩემი ყველაზე დიდი ოცნებაა, მოხუცთა თავშესაფარი ავაშენო“**

**იმედა კახიანმა მე-8 საუკუნის საყდარი აღადგინა**




## ყაზაიშვილმა „ვიტესთან“ 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა



საქართველოს 21 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრების ნახევარმცველმა ვაკო ყაზაიშვილმა ჰოლანდიურ არნემის „ვიტესთან“ 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ამის შესახებ თავად ჰოლანდიური კლუბის ვებგვერდი იუწყება.

18 წლის ფეხბურთელს მანამდეც აკვირდებოდნენ, მაგრამ სანამ სრულწლოვანი არ გახდა და ჰოლანდიაში მუშაობის უფლება არ მიიღო, მანამდე მასთან კონტრაქტი ვერ ფორმდებოდა. ბოლოს ყაზაიშვილი არნემში ივლისის მიწურულს ჩავიდა, „ვიტესში“ სამედიცინო შემოწმება გაიარა, რამდენიმე ვარჯიში ჩაატარა და კონტრაქტიც დადო.

ამრიგად, ჰოლანდიურ კლუბში, რომლის მეპატრონეც მერაბ ჟორდანიაა, უკვე სამი ქართველი ფეხბურთელი ირიცხება — გურამ კაშია („ვიტესის“ კაპიტანი), გიორგი ჭანტურია და ვაკო ყაზაიშვილი.

აქვე გეტყვით, რომ ჭანტურია და ყაზაიშვილი ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად კიშინიოვში იმყოფებიან, სადაც ხვალ ოთარ გაბელიას შეგირდებს მოლდოვის 21-წლამდელებთან ამხანაგური მატჩი ელით.

**მ. ჟ.**

## ასტროპროგნოზი



**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ტყუპები** — დღეს ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **კირჩხიბი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** — გზიდან ფულს მიიღებთ, შეიძლება ვიღაც ჩამოვიდეს. **ქალწული** — ნუ აყვებით სხვებს, საკუთარ თავს მიხედეთ. **სასწორი** — კარგად დაფიქრდით და გადაწყვეტილება ისე მიიღეთ. **ღრიანკალი** — ახალი პროექტი გაამართლებს, იაქტიურეთ. **მშვილდოსანი** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **თხის რქა** — ნურავის ენდობით, მხოლოდ საკუთარ თავს დაეყრდენით. **მერწყული** — შეხვედრა შედგება, მაგრამ საქმე დასრულებული არ არის. **თევზები** — შენაძენით კმაყოფილი დარჩებით, ახალ ამბავსაც გაიგებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი



ჩანაწერი ავტომოპასუხეზე:

„თუ კარგი ამბავია, სიგნალს დაელოდეთ, თუ ცუდი — ახლავე ილაპარაკეთ“.

* * *

— შენ ჩემთან მართლა ზღაპრიდან მოხვედი.
— ჰო.
— რომელი ზღაპრიდან?
— კეთილიდან.
— რა, გამოგაგდეს?

* * *

მამას სამშობიაროში უხარია:
— ბიჭი მყავს, თანაც როგორი!
მედდა:
— დამშვიდდით, ეს ჭიპლარია.

* * *

— რაც უფრო მოკლეა კაბა, მით მეტ ნაკლს ფარავს იგი...

— თუ გინდათ, რომ ქალს საწოლში ასიამოვნით, თავი დაანებეთ — გამოიძინოს!

* * *

— ალო, ეს ჰიდრომეტეოსამსახურია?
— დიახ.
— მაინტერესებს, ამ თქვენს „უმნიშვნელო მოღრუბლულობას“ ჩემი სარდაფიდან ვინ ამოტუმბავს?

**გ. თ.**

## ეროვნულმა მუზეუმმა ფერწერული ტილოები გამოფინა



საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა, თბილისის ისტორიის მუზეუმში ფერწერული ტილოები გამოფინა. მხატვარმა შოთა ლელაძემ ექსპოზიციაზე 25 ფერწერული ტილო წარმოადგინა.

როგორც ეროვნული მუზეუმის მიერ გავრცელებულ საგანგებო განცხადებაშია ნათქვამი, მხატვარ შოთა ლელაძის გამოფენები ყოველთვის გამოირჩევა ინტერესით საქართველოსადმი, რაც არაერთხელ გამომჟღავნდა მხატვრის პროექტებში. იგი უკვე წლებია ცხოვრობს საფრანგეთში, კერძოდ, ქალაქ სტრასბურგში.

წელს აპრილის თვეში სტრასბურგში, ევროსაბჭოს შესასვლელში, ხუთი დღის განმავლობაში პირდაპირ ქუჩაში შოთა ლელაძემ მოაწყო საქართველოს ოკუპაციისადმი მიძღვნილი აქცია-გამოფენა, რომელმაც ფართო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. სწორედ ეს გამოფენა იქნა წარმოდგენილი თბილისის ისტორიის მუზეუმში.



— ყველა თავისი საქმით გამოხატავს თავის სათქმელს ამა თუ იმ საკითხის მიმართ. ჩემი სათქმელი ჩემს ტილოებშია ჩადებული. ეს ექსპოზიცია 2008 წლის აგვისტოს თვეში ჩვენს ქვეყანაში დატრიალებულ ტრაგედიას მივუძღვენი, რომელმაც არაერთი უდანაშაულო ადამიანი იმსხვერპლა, — განაცხადა მხატვარმა.

შოთა ლელაშვილის ნამუშევრების გამოფენა თბილისის ისტორიის მუზეუმში 8 აგვისტოს გაიხსნა და 15 აგვისტომდე დარჩება.

**ეკა ირემაშვილი**

## რამდენად ეჭვიანი ხართ? ტესტი

**1. როდესაც თქვენი პარტნიორი ტელეფონზე საუბრობს:**

ა) მშვიდად აგრძელებთ თქვენს საქმეს; ბ) ცდილობთ გაარკვიოთ, ვის ელაპარაკება; გ) პირდაპირ ეკითხებით ან პარალელურ ყურმილს სწვდებით.

**2. ვიღაცამ გითხრათ, რომ თქვენი პარტნიორი საპირისპირო სქესის წარმომადგენელთან ერთად ნახეს:**

ა) ყურადღებას არ აქცევთ; ბ) ჰკითხავთ თქვენს პარტნიორს ამ შეხვედრის შესახებ; გ) „კეთილისმყოფელს“ დეტალებს გამოჰკითხავთ.

**3. თქვენი პარტნიორი დღიურს წერს და თქვენ არ გაჩვენებთ:**

ა) პატივს სცემთ მის უფლებას სულიერ ცხოვრებაზე; ბ) პირდაპირ მოსთხოვთ, დღიურის წაკითხვის უფლება მოგცეთ; გ) ჩუმად წაიკითხავთ დღიურს.

**4. ვიღაცამ თქვენს პარტნიორს ტკბილეული მიართვა:**

ა) მებაღეს არ კითხულობთ, ტკბილეულს მიირთმევთ; ბ) ჰკითხავთ, ვინ მიართვა; გ) ტკბილეულს გადაყრით.

**5. მოგწონთ ქათინაურები?**

ა) ვერ იტანთ; ბ) ხანდახან გსიამოვნებთ; გ) გიჟდებით.

**6. თქვენმა პარტნიორმა ვიღაცასთან ერთად იცეკვა:**

ა) ყურადღებას არ მიაქცევთ; ბ) დაინტერესდებით ცეკვის დროს მათი საუბრის თემით; გ) არ გსიამოვნებთ, მაგრამ არ იმჩნევთ.

**7. თქვენი პარტნიორი დიდხანს არ ჩანდა:**

ა) მოუთმენლად ელოდებით მის დაბრუნებას; ბ) დაბრუნებისას ჰკითხავთ, სად იყო და რას აკეთებდა; გ) სკანდალს გაუმართავთ.

**8. თუ თქვენი პარტნიორის საპირისპირო სქესის წარმომადგენელთან გაცნობა გიხდებათ:**

ა) თქვენი ურთიერთობის აფიშირებას არ ახდენთ; ბ) ამას იმ შემთხვევაში აკეთებთ, თუ თქვენს პარტნიორს ეს სურს; გ) ახალ ნაცნობს აგრძნობინებთ, რომ პარტნიორი თქვენი წყვილია.

**9. თქვენს პარტნიორთან ერთად სტუმრად მიდიხართ:**

ა) სხვა სტუმრებთან ერთად ერთობით; ბ) მთელი საღამოს თვალს ადევნებთ, ვის ელაპარაკება თქვენი პარტნიორი; გ) მთელი საღამო გვერდიდან არ მოშორდებით.



**პასუხები ასე შეაფასეთ:**

**ა — 1, ბ — 2, გ — 3.**

**9-15 ქულა:** მიმნდობი, არაეგოისტური ბუნების ადამიანი ბრძანდებით. ეს თვისებები მრავალ უსიამოვნებას აგაცილებთ თავიდან და პარტნიორის შენარჩუნებაში დაგეხმარებათ.

**16-21 ქულა:** ზომიერად ეჭვიანი ბრძანდებით, გყოფნით ჭკუა-გონება, რათა ეჭვიანობა შენიღბოთ და თქვენთვის და თქვენი პარტნიორისთვის დამამცირებელი სიტუაცია არ შექმნათ.

**22-27 ქულა:** ძალიან ეჭვიანი ხართ. პარტნიორს სულ ღალატს აბრალებთ. მეტად უნდა ენდოთ საკუთარ თავს და თქვენს პარტნიორს, თუ თქვენი კავშირის შენარჩუნება გსურთ.

**გ. თ.**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ფარული შესაძლებლობა, უნარი; 2. მამაკაცის ტანსაცმლის მკერავი ძველად; 3. მეფის მცველი რაზმის მეთაური ძველად საქართველოში; 4. რეგიონი კახეთში; 7. ნავსადგური უკრაინაში; 9. სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტების დამამზადებელ იტალიელ ოსტატთა გვარი; 12. მათემატიკის ნაწილი; 14. ფეხბურთის სახელწოდება აშშ-ში; 15. პოლიტიკური პარტიის ნაწილი; 17. ფრანგული ბულდოგი; 20. დიპლომატიური წარმომადგენელი.

**თარაზულად:** 5. ზღვისპირა კურორტი საქართველოში; 6. სპილენძის შემცველი ლურჯი ფერის მინერალი; 8. ლითონის სადნობი ღუმელი მეტალურგიაში; 10. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 11. ბირმის დღევანდელი სახელწოდება; 13. ყურის ექიმი; 16. პორტუგალიის დედაქალაქი; 18. ფართოდ გავრცელებული მარადმწვანე ტროპიკული მცენარე; 19. ტყის მსხალი; 21. თანამედროვე ქართველი თეატრალური რეჟისორი; 22. ბუნებრივი ნაკრძალი აჭარაში; 23. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*




ლურჯი წითელი ყვითელი შავი